ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუბიკონი

კვირეული ორგანო

სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირი

№ 2 — კვირა, 28 იანვარი 1923 წ. — ფასი 10 ათასი მან.

მისამართი: ტფილისი. ხელოვნების სასახლე სერგ. ქ. № 13 ტელ. 17—51

## ტფილისის უნივერსიტეტის დღე.

26 იანვარს შესრულდა ხუთი წელი მას შემდეგ, რაც დაარსდა ტფილისის ქართული უნივერსიტეტი.

უკანასკნელი წლები საქართველოს ცხოვრებისა აღნიშნული იყო მრავალი მოვლენებით უაღრესი ისტორიული მნიშვნელობის. მაგრამ ამ ისტორიული წლების მანძილზე მაინც ცოტა იყო ისეთი მოვლენა, რომელიც თავისი მნიშვნელობით უტოლდებოდეს იმ დიადს კულტურულს საქმეს, როგორიც არის ტფილისის ქართული უნივერსიტეტის დაარსება.

ტფილისის უნივერსიტეტის დაარსების დღეს შეუძლებელია არ აღინიშნოს ის განსაკუთრებული ღვაწლი, რომელიც მიუძღვის ამ საქმეში კეთილშობილს პატრიოტს ივანე ჯავახიშვილს. ჩვენს მოწიწებას იწვევს ამ ადამიანის შეუდრეკელი ენერგია და კატონისებური პრინციპიალობა. ჯერ კიდევ პეტროგრადის უნივერსიტეტში, სადაც ყველა ქართველი მეცნიერები გადაიქცენ რუსეთის მეცნიერების დამატებად და რუსულ მწერლებად, ერთად-ერთი ივანე ჯავახიშვილი დარჩა ბოლომდი ქართველ მწერლად და მეცნიერად. ხოლო როდესაც საამისო პირობები დაიბადა, იგი გახდა ინიციატორი და სულის ჩამდგმელი იმ დიადი ეროვნული საქმისა, რომელსაც ტფილისის ქართული უნივერსიტეტი ეწოდება.

ქართული უნივერსიტეტი თავისი ისტორიის ჯერ კიდევ ხუთ წელს ითვლის და ცხადია მას ჯერ მრავალი დეფექტი მოეპოვება. მაგრამ აქ რასაკვირველია არაფერია მოულოდნელი. პირიქით საოცარი ის არის, რომ ქართულმა უნივერსიტეტმა ამ ხუთი წლის განმავლობაში მოასწრო შესრულება იმ დიდი მუშაობისა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ, და დაამთავრა ორგანიზაცია უნივერსიტეტის ყველა ძირეული დარგების. ბოლოს-დაბოლოს მიუდგომლობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ტფილისის ქართული უნივერსიტეტი არის ერთად-ერთი ჰუმანიტარული უმაღლესი სასწავლებელი მთელს კავკასიაში, რომელიც სდგას თავისი დანიშნულების სიმაღლეზე.

მაგრამ არის იმისი პერსპექტივაც, რომ ახლო მომავალში ქართულ უნივერსიტეტს ექნება მნიშვნელობა არა მარტო კავკასიური მასშტაბით. ქართულ უნივერსიტეტს ცხადია ადრე დაამშვენებენ სახელები მეცნიერების სხვა-და-სხვა სფეროებში. მაგრამ არის ერთი დარგი მეცნიერებისა, სადაც ქართულ უნივერსიტეტს აძევს მისსია შეასრულოს შემოქმედებითი საქმე მსოფლიო მნიშვნელობის.

ჩვენ ადგილი არ გვაძლევს საშუალებას უფრო ვრცლად შევეხოთ ამ საგანს და აქ ორიოდე სიტყვით აღვნიშნავთ ამას. ჩვენ მხედველობაში გვაქვს, ახალი ფილოლოგიური დისციპლინა: იაფეტიდოლოგია.

იმ ცენტრალურ აღმოჩენათა შემდეგ, რომელიც მოგვცა ქართველმა მეცნიერმა ნიკო მარრმა, ქართული ენა ა ცენტრალურ ადგილს იჭერს თანამედროვე ფილოლოგიაში. არ იქნება არავითარი გადაჭარბება იმაში თუ ვიტყვით, რომ ქართულს ენას ეძლევა ისეთივე მნიშვნელობა უძველესი მსოფლიო კულტურის პრობლემების გადასაჭრელად, როგორიც ჰქონდა სანსკრიტულ ენას ინდოევროპიულ შედარებითს ფილოლოგიაში. თან-და-თან უცილობლად მტკიცდება ის ფაქტი, რომ ქართველები, მისი ძმურად მონათესავე კავკასიის მკვიდლებით, გენეტიურ ნათესაობაში იმყოფება იმ უძველეს რასსასთან, რომელიც იყო პირველი მატარებელი კულტურისა წინა-აზიაში და ხმელთა-შუა ზღვის მსოფლიოში.

საკითხები სუმეროლოგიის, ელამის ენის, ვანის ლურსმულ წარწერების, ხეტების კითხვა, და წინა აზიის სხვა უძველესი და დღემდე გამოუცნობი კულტურული ერების პრობლემები თავის გასაღებს პოულობს ქართულს ენაში და მის მონათესავე კავკასიურ ენებში. ხოლო ამ ბოლო დროს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დამტკიცდა ბასკური ენის გენეტიური ნათესაობა ქართველურ ენებთან, საბოლოოდ შუქი ეფინება იმ ფაქტს, რომ უძველესი ეთნიური კულტურული ელემენტი ევროპის მსოფლიოში:—პელაზგები და სხვა ხალხები ეგეის ზღვის წრისა, ეტრუსკები—იტალიაში, იბერები—ისპანიაში, ეკუთვნიან იმავე რასსას.

თვით ელლინური და ლათინური კულტურა თავისი ფესვებით დამყარებულია იმავე იაფეტურ ეთნიურ და კულტურულ საფუძველზე. ამ იაფეტურ წყაროში თავის ახსნას ჰპოულობს პირველხარისხოვანი საკითხები ელლინოლოგიის. აკადემიკოსმა მარრმა პირადი საუბრის დროს გამიზიარა თავისი უკანასკნელი დასკვნები, რომ თვით ჰომიროსის პოემებიც-კი, ვიდრე ისინი დამუშავებულ იქნებოდენ ბერძნულ ენაზე, წარმოადგენდნენ თავდაპირველად იაფეტურ ხალხთა თქმულებას.

ამნაირად ქართულ-მეტყველების და კავკაზოლოგიის წინაშე ისახება კოლოსსალური პერსპექტივები. და ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ ტფილისის უნივერსიტეტი ამ მსოფლიო მნიშვნელობის შემოქმედებითს საქმეში დაიჭერს პირველობის ადგილს. მართლაც სად შეიძლება იყვეს ისეთი მტკიცე ბაზა იაფეტიდოლოგიისა, თუ არა ტფილისში, იაფეტური მსოფლიოს გულში. საამისოდ ტფილისის უნივერსიტეტს ხელს უწყობს ყველა ობიექტიური პირობები.

აქ არის ტფილისის უნივერსიტეტის უდიდესი სამეცნიერო მისსია და ჩვენ გვჯერა, რომ ტფილისის ქართული უნივერსიტეტი მოიპოვებს ამ დარგში მსოფლიო რეპუტაციას.

პავლე ინგოროყვა.

26—1.

## სტუდენტობის ტრადიციები.

სტუდენტობა ის დროა, როცა არ გვცხვენია რომანტიზმის. როგორიც ტრივიალი არ უნდა იყოს, არის სამუდამო კეთილშობილება პირველ სიყვარულში და პირველ აღტაცებაში. დრო უნივერსიტეტში გატარებული უდრის შემდეგში მთელს ცხოვრებას, რა სკეპსისიც და შეიძლება უფრო ადრე მეშჩანობაც არ დაეპატრონოს ადამიანს, ის ყოველთვის მოიგონებს ამ პირველ აღტაცებას და უშუალოდ შექმნილ რომანტიკას, როცა გამართლებულია „შიმშილის მისტიციზმი" და სიყვარული, რომელსაც მივყვევართ აფთიაქთან, როგორც იტყოდა ჰერცენი. წინად სახელი სტუდენტის ისე კეთილშობილი იყო, როგორც სახელი პოეტის. პირველი სტუდენტი რომელიც ამართლებს ამ შედარებას არის ჰამლეტი. ჩვენ ყოველთვის ვხედავთ ამ მწუხარე დანიის პრინცს წიგნით ხელში. მართლაც არც ერთი ნამდვილი მეფე დანიის თვითაც დღემდე არ არის ისე სახელოვანი, როგორც ეს ეფემერი პრინცი. ჰამლეტი მოცემულია ტრაგედიაში პირველი სიყვარულით და მეგობრობით. არა ასეთი სერიოზულობით, მაგრამ პირვანდელი უდარდელობით და შკოლიარის და ბოჰემიელის ტემპერამენტით აქამდე იწვევს ჩვენ აღტაცებას ყაჩაღი-პოეტი ფრანსუა ვიონი. საუკეთესო ნაკვეთები მისი „პატარა ანდერძიდან" სამუდამო ანდერძია ლათინურ კვარტალის და მონმარტრის ბოგემის. გამოაკელით სტუდენტობის პერიოდი გიოტეს და ლიცეის პუშკინს: პირველი მაშინ იქნებოდა ვეიმარის ცივი დოკტრინიორი და მეორე მოკლებული იქნებოდა იმ სიხარულს, რომლითაც ავსებს რუსეთის პოეზიას. დღესაც ჩვენთვის ჰაიდელბერგი ისე ისმის, როგორც ალექსანდრია, მაშინაც კი როცა „არ ამბობენ სიტყვას „ალექსანდრია"... არის მგძნობიარე ანალოგია იმაშიც, რომ ისტორიული გადმოცემით თვითონ რუსთაველიც იყო ათინის სტუდენტი და იქედან შერჩა დიდებულ რიტორის პათოსი მის პოემას. ჩვენი მოდგმის ქართველები უბედური ვიყავით, რომ უცხოთა კარზე გავატარებთ ჩვენი ახალგაზრდობა. მიუხედავათ პატრიოტული მელანქოლიისა ყველა ჩვენგანი უდიდესი სინაზით მოიგონებს. მოსკოვის „კოზიხას". მართლა რომ იქ დამარხულია პირველი სიცოცხლე. მე მაგონდება დღე 12 იანვარი, როცა რუსი სტუდენტები თავმოხდილი და ტირილით მღეროდენ „სტრასტნიია პლოშჩადზე" პუშკინის ძეგლთან, რომელსაც ჩამავალი მზის სინათლე როგორც კომანდორს აელვარებდა.

Товарищ, верь взойдет она

Заря пленительного счастья...

ეს სიტყვები ამოღებულია პუშკინის პეტრ ჩაადაევისადმი მიწერ ლექსის წერილიდან. ჩვენ ქართველები მოკლებული ვიყავით ამ სიამაყეს, თუმცა პირველი მაინც ქართველები ხვდებოდენ ცხენოსან პოლიციელთა იერიშებს... სტუდენტობის პერიოდთან არის დაკავშირებული პირველი შემოქმედება, ბელგიის სიმვოლიზმი უნივერსიტეტში დაიბადა, ვის არ მოაგონდება ემილ ვერჰარნის ფრანსუა ვიონზე გადაჭარბებული სკანდალები. უნივერსიტეტმა შექმნა რუსული სიმვოლიზმიც: ვალერი ბრიუსოვი, ივან კონევსკოი ალექსანდრ დობროლიუბოვი, ანდრეი ბელი..

უნივერსიტეტმა შექმნა ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები" და სტუდენტების სიმღერა", ქართული ახალი ლიტერატურა პეტრბურგის ნისლში გამოიტანჯა წინა თაობამ. პეტრბურგში სთარგმნიდენ ერთად ი. ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი „მეფე ლირს", აქედანვე უგზავნიდა აკაკი წერეთელი ლექსებს „ცისკარს" და ნიკო ნიკოლაძე წერილებს „Колокол"ს და რა იქნებოდენ კირილ ლორთქიფანიძე და გიორგი ზდანოვიჩი რომ გამოაკლდეს მათ სტუდენტობის პერიოდი.

და თითქო სიზმარია, რომ ტატიანის მესამე დღეს ელიაზარის სულით აღდგა საქართველოს უნივერსიტეტი— 26 იანვარი ყოველ ქართველისთვის უნდა შეიქნეს მეორე შობათ... მე მინდა დავიჯერო რომ საქართველო რომელიც მოცემულია სიხარულისთვის, ამ დღეს გაიხდის კულტათ. მე ვოცნებობ იმაზე, რომ ცოტა ხნის შემდეგ ვერა იქნება ასეთივე სახელი, როგორც ლათინური კვარტალი და ან „კოზიხა"... მე ვხედავ ბედნიერ ქართველ სტუდენტებს ჰაიდელბერგის მაზხალებით მანიფესტაციას, როცა ისინი ვერის რაიონიდან მივლენ რუსთაველის მონუმენტ ძეგლთან, რომელიც უნდა აიმართის როგორც მეორე უნივერსიტეტი.

ქართველ სტუდენტებზეა დღეს შექმნა ამ ტრადიციის...

შემოქმედებას უყვარს ახალგაზრდობა და ახალგაზრდობას სიხარული.

ტიციან ტაბიძე.

26—1.

## პოეზია და ბუნება.

ბოდლერმა პირველად იგრძნო ცა, როგორც უფსკრული. ტიუტჩევმა პირველად დაგვანახა საბედისწერო ღამე, რომელიც საშინელია, როგორც მედუზა. ბოდლერმა წარმოიდგინა მთელი ბუნება—რთული სიმბოლოების ტყე, რომელნიც მოითხოვენ მათ გამოცნობას. ტიუტჩევი აღმერთებდა ბუნებას და გრძნობდა მას, როგორც ცოცხალს და თავისუფალს ძალას. ტიუტჩევმა უძღვნა გენიალური ლექსები ღამის ქარს, ალპებს, ზღვას, გაზაფხულს, დღეს და ღამეს, შემოდგომას, საღამოს, შუადღეს, დილის ბინდში, ცისარტყელას, პირველ ფურცელს. თავის დიდებულ ოდაში ბუნებაზე ის ამტკიცებს პოეტურად, რომ ბუნება არ არის უსულო, რომ მას აქვს თავისი საკუთარი ენა. არავის არ უთქვამს ისეთი სიტყვები ელვაზე, ვარსკვლავებზე, ღამის ქარზე, როგორიც სთქვა ბუნების იდუმალებათა ვიზიონერმა და მისანმა ტიუტჩევმა. მის პოეზიაში ორი საწყისია: აპოლონიური და დიონისიური, ჰარმონია და ქაოსი.

რასაკვირველია, ტიუტჩევი უპირველეს ყოვლისა ქაოსის პოეტია. მაგრამ ის გრძნობდა ბუნებაში არა მარტო ვიაჩესლავ ივანოვის realiora-ს, ბუნება იმავე დროს მისთვის ესთეტიური ფენომენი იყო (ნიცშეს თქმით). ის ადიდებს ღამესთან ერთად დღეს. მისი ღმერთია პანი.

ბოდლერის სული უფრო გაბზარულია. მის პოეზიაში ჩვენ ვერ ვნახავთ ტიუტჩევის კოსმიურ ხილვას, მაგრამ ბოდლერმა იგრძნო ბუნება, როგორც სიმბოლოების ტყე.

მან გაიცადა მთელი ქვეყანა, როგორც დაფარულ ანალოგიების სისტემა. ბოლოს და ბოლოს ის დაშორებული იყო ბუნებასთან და მისი ინდივიდუალიზმი კატასტროფით გათავდა. ტიუტჩევისთვის ბუნება სფინქსი იყო, მაგრამ ერთხელ მას წამოსცდა, რომ შეიძლება ბუნება იყოს სფინქსი უგამოცანოთ. (Сфинкс без загадки) ამავე სიტყვებით დაახასიათა უაილდმა ქალი.

რუსსომ ცრუ-კლასიკოსების შემდეგ აღმოაჩინა ბუნება ისე, როგორც კოლუმბმა აღმოაჩინა ამერიკა.

მეჩვიდმეტე საუკუნეში ბუნება დავიწყებული იყო და საჭირო შექნა მისი მეორედ აღმოჩენა.

პოიზაჟს მხატვრობაში ისეთი დიდი ადგილი უჭირავს, როგორც ადამიანს.

მას შემდეგ, რაც შეიქმნა ურბანისტული პოეზია, წმინდა ბუნება თითქმის განდევნილი იქმნა პოეზიიდან და ამ თვალსაზრისით თანამედროვე პოეზია უახლოვდება ცრუკლასიკოსების პოეზიას, რომელსაც არ სწამდა ბუნება.

ინგლისურ პოეზიაში არიან ლაკისტები—ტბის პოეტები. მათ პროგრამაში შედიოდა ბუნება, როგორც მთავარი ძალა.

პოეზიას ყოველთვის ასაზრდოებს ბუნება და ქალაქის პოეზია, სადაც არ არის ბუნება, უთუოდ დროებითი მოვლენაა.

ყველა გენიოსები: ჰომიროსი, ლეონარდო, გოეტჰე, შექსპირი, ვაჟა ბუნების ვიზიონერები იყვნენ.

პოეტური ხილვა ბუნების ახლო სდგას მეცნიერულ ხილვასთან. ლეონარდო და გოეტე დიდი მეცნიერები იყვნენ.

აკაკიმ აღმოაჩინა შავი ჭვა და ეს ფაქტიც უთუოდ საგულისხმოა.

შექსპირის ტრაგედიებში ნაწინასწარმეტყველებია ბევრი მეცნიერული აღმოჩენები. ბუნება დგას ჩვენს წინაშე, როგორც იზიდა. უნდა დავინახოთ იზიდის სახე.

მთელი მაგია და ალქიმია (ფაუსტი, პარაცელსი, კალიოსტრო) ცდილობდა შესულიყო ბუნების დაკეტილ ტაძარში და იქ დაენთო თავისი ცეცხლი.

ქართველ პოეტებში „ბუნების გრძნობა ყველაზე უფრო განვითარებული აქვს ვაჟას და შემდეგ ბარათაშვილს. დანარჩენ პოეტების შემოქმედებაში ბუნება მოცემულია, როგორც ბრწყინვალე დეკორაცია, როგორც შეხერხეზადის ზღაპარი.

მე სრულიად ვერ ვგრძნობ ბუნებას რუსთაველის პოეზიაში. დიონისიური ხილვა ბუნების თითქმის არ იცის ქართულმა პოეზიამ.

საქართველოს ბუნება მოცემულია, როგორც „ტაძარი სიმბოლოების" (შალვა აფხაიძის წერილიდან: ქართული პოეზიის პერსპექტივები—მეოცნებე ნიამორები—№ 1. 1919 წ. თებერვალი). ვაიდის და ბულბულის პოეტები აბითურებდნენ ბუნებას.

მათ ლექსებში ბუნებას ერთი ღამეც არ გაუთევია.

ორი წლის წინათ ქუთაისში მყოფნი „ცისფერი ყანწელები"—სანდრო ცირეკიძე და ამ სტრიქონების ავტორი, აპირებდნენ მანიფესტის გამოქვეყნებას, რომელშიდაც პირველ ადგილს დაიჭერდა ბუნება."

მთელი საქართველო ჯერ მხოლოდ ბუნებაა. ბუნება უნდა ყოფილიყო ქვაკუთხედი ჩვენი მსოფლმხედველობის. მაგრამ ჩვენ ეს მანიფესტი არ დავბეჭდავს. ეს არ იქნებოდა გეოგრაფია და ტოპოგრაფია, რადგანაც ჩვენ ავზარდეთ ტიუტჩევზე, ვაჟაზე და ბოდლერზე.

რასაკვირველია ჩვენს მანიფესტში ქალაქიც შევიდოდა, როგორც ხელოვნური და არა უკვდავი ბუნება. საქართველოს ბუნებამ შექმნა ერთი უდიდესი პოეტი—ეს არის ვაჟა. ვაჟას მოწაფეები გამოჩნდებიან და გამოაცხადებენ ბუნებას თავის ღმერთად.

ზღვა სრულიად არ არის ქართულ პოეზიაში.

საქართველოს ბუნებას უნდა მიეცეს ღირსეული დაფასება ქართულ პოეზიაში. ბუნება შეჰმატებს ქართულ პოეზიას დიდ სანახაობას, დიდ ფენომენებს და სიმბოლოებს.

პარნასელების პოეზია მხოლოდ ბუნების აწერაა, ნატიურ მორტია, მაგრამ მას აქვს განსაკუთრებული ადგილი პარნასზე ბუნება იძლევა საქართველოში ვარსკვლავების, მთვარიან ღამეების, გრიგალების შედევრებს.

ტეოფილ გოტიემ აამღერა ლუქსორის ობელისკი, მტვერიან ფარჩით შემოსილი უდაბნო.

დროა—საქართველოს ბუნება, როგორც ტაძარი სიმბოლოების—ღირსეულ ტახტზე ავიყვანოთ. დროა დავინახოთ იზიდა ხარბი თვალებით, ტიუტჩევის თვალებით.

პოლ ვერლენის სიტყვით—ადამიანის სულში რომ ჩავიხედოთ—იქ აღმოვაჩენთ მხოლოდ პეიზაჟს.

ბუნება არ არის მხოლოდ მაყურებელი ჩვენი ტრაგედიის და კომედიის.

მას აქვს თავისი კატასტროფები, რევოლიუციები. მან იცის გამარჯვება და დამარცხება.

ბუნებაში იმალება მთელი ჩვენი მომავალი. ჩვენ ყველა ბუნების სცენაზე პრომეთეები და მარიონეტკები ვართ. პოეზიისთვის ხშირად ბუნება დეკორაცია არის და არა მისტერია, რადგანაც უკანასკნელ საუკუნეების პოეზია სუნთქავს ქალაქით და გაჰვარტლულია მისი გავლენით.

მაგრამ, ის პოეზია, რომლის ხერხემალი ბუნება არ არის, ჩქარა კვდება. შექსპირის ტრაგედიებმა გასძლო, რადგანაც მის ტრაგიულ გმირებს აქვთ დიდი კავშირი ბუნებასთან. როგორც შლისელბურგელმა ნიკოლოზ მოროზოვმა დასწერა აპოკალიპსის მიხედვით ახალი ასტრონომია, ისე შეიძლება შექსპირის, ჰომერის და ვაჟას მიხედვით ახალი კოსმოგონიის შექმნა.

ბოლოს და ბოლოს უკვდავნი არიან ის პოეტები, რომელნიც თავის ბიოგრაფიაში და იღბალში ატარებენ მთელი მსოფლიოს ბიოგრაფიას და იღბალს.

ვალერიან გაფრინდაშვილი.

# ახლობელი პორტრეტები

## ვალერიან გაფრინდაშვილი

შუბლი. მაგარი ძვლები და უფრო სქელი ძარღვები. ერთია მის პოზაში ალსანიშნავი: უეცარი მოვლება ხაზის ენერგიული ხელით, თუ იგრძნო დაცემა ანაზდეულ სახის ან იდეის. უფრო მასსიური სივრცის დატეხაში—ვიდრე გრაციული. უკანასკნელი გადაღმაა ერთიანად გადასული. ამიტომ აწვალებს ყველაზე უფრო თემა: ,,საქართველო და დენდიზმი'' უკანასკნელი როგორც გაშლა სულის გრაციოზობის.

სახე დასრულებული შორი ნაპირებით. დახვეული ხშირი თმა. უკანასკნელი თითქოს მისტიური სარკეა პოეტის შეიძლება თმის ნაოჭებში დაინახო მისი შინაგანი პორტრეტი, გადმოსული გაშხვართულ სიტყვაში. მის ძირშია დაკრული შემოქმედის ხალისი და ენერგია.

ჩავარდნილი ვიწრო თვალები, რომლიდანაც ამოდის კენისბერეის სასახლის ჩვენება, პოეს მესმერია და მთელი საუკუნის ფანტასტიკა.

სიცილი-როგორც არც ერთი ადამიანის ქვეყანაზე. აქ არის რაღაც პროვინდეციალობა, მთელი გარემოს მორკალვა ერთბაშათ და მისი ,,თავის თავში'' გადატანა. სიცილი, რომელიც არ გადმოდის ტუჩების აქეთ. დაგუბებული. უეჭვოა ვალერიან გაფრინდაშვილი არ იქნებოდა დიდი მასშტაბის პოეტი, რომ მას სხვა სიცილი ჰქონოდა. უკანასკნელი არის ფრჩხილებზე დასულ ინდივიდუალიზმის ხატი.

თითქოს სოველ სარკოფაგებიდან ამოღებული ხმა; ლექსის კითხვის დროს ისმის იგი, როგორც ხმა ჰამლეტის მიცვალებულ მამის საგვარეულო საფლავიდან.

დაბორკილი ენა. მაგრამ საკმაოა წარმოსთქვას: ,,დე, დამემორჩილოს მე ენა ჩემი'', რომ გაიშალოს ეს სიტყვები მაგიურ ცისარტყელად და მოსქდეს მთას მოკლედ დაჭრილი ასოციატიური ფრაზები.

უფრო ქვა და შინაგანი წვა. ამიტომ ყოველი ლექსი მისი ქვიდან გამოვარდნილი ცეცხლი, მოფენილი ვერცხლის სინათლით.

პოეტებს ყავთ მივიწყებულ საუკუნოებში თავისი ლეგენდები, რომელსაც იგონებენ შუაღამის ჟურანტელით და მისტიური სიყვარულით.

ვალერიან გაფრინდაშვილი მოარული ლეგენდაა ფანტასმაგორიით და დაბურდულ გროტესკებით. თანამედროვე პოეზიის ყოველი რადიუსი ერთდება ინდივიდში: უკანასკნელია ცენტრი მოცემულ სინამდვილის და საზომი ყოველი მოვლენის. უკიდურეს პოლიუსზე დგას ვალერიან გავრინდაშვილი, და როგორც მოსეს კვერთხით ამოჭრილი დარჩებიან პოეტური სიამაყით გადასროლილი სიტყვები, რომლებშიაც ის მეტ სიძუნწეს იჩენს: ,,როცა გიყურებთ ერთად თავ მოყრილს მე მეშინია თქვენი, ცალკეულად კი მიყვარხართ''.

ასე გამოსთქვა პოეტმა შინაგანი სიმართლე, რომელიც არის მისი უმძაფრესი ხილვის საგანი. მართალია ხშირად ყოფილა პოეტი ბორჯიას ცოდვების დამტრიალებელი, მაგრამ ეს იყო მისი ლექსები, თვით მკვლელობის კართან პოეზია კი უმთავრესად პოზაა პოეტის, პუდრით დართვილული და შეიძლება ქერძაფით მოწამლული. არის საგნები, რომელისაც პოეტი შორდება მისტიური შიშით. ეს არის პირველი დაწყევლა პოეტის კარიერის.

როცა ქუჩეზე დალოწილ ღამეში შავი კატა აედევნა, პოეტს კანკალი დააწყებია და მეორე მხარეზე გადავიდა. ეს იყო ბალახვანის ქუჩა, რომელიც დარჩება პოეზიაში როგორც მოჩვენება მონმარტრისა.

ამ დღიდან შავი კატა დაყვება პოეტს, როგორც განუშორებელი მხლებელი ისევე როგორც ედგარ პოეს ყორანი, ხშირად მისი ბალნით არის შეკრული ლათინურ რკინის გამოთლილი ლექსი. ამიტომ უკანასკნელი სტოვებს თვალ შეუდგამ და მძაფრ შთაბეჭდილებას. ჩემთვის ყოველი მისი ლექსი არის სპირიტიული სეანსი, რომლიდანაც გადმოდიან ოთხივე კედლიდან შორეული სულები: ჰამლეტის, ოფელიასი და მრავალი სხვა წარჩინებული პერსონაჟების.

პოეზია კი მედიუმია, რომელიც გამოუძახებს ასტრალურ სფეროდან გაშლილ მაგიდასთან საუკუნოებში გადასულ სახეებს და ხსნის იეროგლიფებს, სქელ იდუმალებით დაფარულ გზებს.

კიდევ არის არსება, რომლის წინ არ შეუძლია გაიაროს პოეტმა, ისე თუ არა პანიური შიშით. ისევ ფანტასტიური ქუთაისი, მელანქოლიით და სპლინით დაფენილი. აქ იყო მეორე პოეტი ყველაზე უფრო უცნაური, რომელიც თავისი ცხოვრებით სწერდა იმდენ მისტიურ დრამას, რამდენიც არ დაუწერია არც მეტერლინკს და არც შარლ ვან ლერბერგს.

ყოველი მისი ღამე იყო გაცხოველებული პოეტის მიერ შექმნილ ქიმერებით, და ყოველი მისი მთვარე პოეზიის ზზამით მოწამლული.

პაოლო იაშვილი იყო ქუთაისის გადასულ ღამეების საოცრება. როცა დატოვებულ სობოროსთან პაოლო იაშვილმა გიჟის როლი გაითამაშა მეორე ირაციონალურ სინამდვილეში გადასულ პოეტის წინ, უკანასკნელი ისევ აკანკალდა ბავშვით შიშით და ველარ დაბრუნდა სახლში მარტო იმ ქუჩით, რომელსაც ნარვალებით მისდევედა ღამის ძაღლის ყმუილი. პოეტს ეშინოდა ყოველი მოვლენის, რომელიც იყო წინაგრძნობა დაშლის, გახრწნის და გამეტებული დაღუპვის.

ის იყო ძაღლი, რომელიც უყეფდა მთვარეს და ნერწყვით პირში ელოდა მის ჩამოვარდნას.

ეს სიმღერა ძაღლის ქართულ პოეზიაში დარჩება, როგორც ყნოსვა მოახლოვებულ კატასტროფის და პოეტის განწირულ ბედის. სიმღერა, რომელსაც ველარ გაიმეორებს ვერავინ.

პოეტს ეშინოდა ადამიანის, რომელიც მთვარის სხივებს აგროვებდა სანდრო ცირეკიძის ასანთის კოლოფში შუაღამით. და აბურძგლულ ტანით ჩაუვლიდა გვერდს.

შეიძლება ეს დაწურული შიში არის იმპულსი, რომელიც იწვევს სახეებს შეცნობის სხვა სფეროდან. სახეები, რომელსაც აქვთ თვისება დისოციატიური და ამიტომ მარადიული.

ახალ პოეზიაში არ არის პოეტი ისეთი სწორი, როგორც ვალერიან გაფრინდაშვილი. მას არ აქვს გაუმართლებელი ლექსი. არ იცის დაწეული ხმა. აქვს მხოლოდ მწვერვალები. ასვლა საძნელოა მეტად, მხოლოდ არის იქ ნაცრის ნათელი და დარბაზები სავსე შორეულ ბინდებით.

მოდიან საღამოს რჩდილები და ახლოვდება საქართველოს დაისები. ცეზარის სიმტკიცის და გალური სიამაყით მოუძღვის მათ პოეტი: მოყვება ჯარი დაისებზე ამოჭრილ ქიმერების: თითქოს იყოს პოეზია მისი Novre Dame რომლის თაღიდან იყურება ათასი თვალი მოჩვენების. იხსნება ფარდა, პოეტის დირიჟორობით:

,,და ცის უფსკრულში აილეწა კაფე ლანდური;
ახალ პოეტებს გაუმართავთ ლურჯი კაბარე.
იწვის არღანი, იკლაკნება იქ ფისმანდური,
და ჩემი ცქერა მოჩვენებას კვლავ შევაფარე.
ანგელოსები სამართლებით პარსავენ ლოთებს,
მსახურებს დააქვთ ოპიუმი მაღალ ვაზებით:
ისევ მედუზა ყავისფერი მათ შეაშფოთებს
ვინც ლექსებს ამბობს ტირილით და რუხ გაბრაზებით
ლალის სიგიჟე, ყირამალა და ხარაკირი
ჯამბაზობს კაფე და ჰაერში გადაბრუნდება..
ისევ დაისი ატორტმანდა, როგორც საკირე,
და ჩემი ცქერა ჩვენებებსთან ბრძოლას უნდება''.

დადის პოეტის ახალ სინამდვილეში, სადაც ყოველი საგანი მუდამ სარკეებშია გადავარდნილი ან ემდგარია ორი სარკის წინ და იძლევა დაუსრულებელ მოჩვენებებს სარკის სიღრმეში ჩაძირულთ.

იშლება ციური ილიუზიები, რომლებშიაც ტირის სამყარო უკანასკნელი რეკვიემით და დადის ფეერიული კალიოსტრო მობრუნებულ კარტით ხელში. ეს არის თვითონ პოეტი, რომელსაც აქვს ძალა ფაკირის და ელექსირი—მისი ლექსებზე უკვდავების დაღის დამსმელი.

ის დადის როგორც ძველი ალქიმიკოსი, რომელსაც სწამს სასწაულები და ყოველი მისი ლექსი იშლება მართლაც პირველი სასწაულის ხალისით, რომელშიაც არის რელიგიური სიმკაცრე და წესი. ყოველი მოვლენა მისთვის იმდენათ არის მისაღები, რამდენათაც იგი ატარებს მაგიურ ასპექტს. მხოლოდ უკანასკნელის მობრუნებით მოდის სტიქიური სპირალი. პოეტმა შექმნა სრულიად ახალი ღირებულება მსოფლიო პოეზიაში—მაგია სიტყვის. ყოველი ლექსი მისი არის სომნაბულას რიტმიული სვლა და საშიშია მეტად ჰიპნოტიურ მდგომარეობიდან უეცარი გამოფხიზლება. წინ უფსკრულია და მოლოდინი გადავარდნის. არის პოეზია მისი უფრო ოკკულტიური და ზესთაბუნებური. საქართველოს საზღვრები ვერ დაიტევენ მის იდუმალ ტალღებს და ამაშია გამართლება თვით საქართველოსი.

საკმაოა ოდნავი ხელისშეხება და ყოველი საგანი დაკარგავს სხეულს, ფორმას და ფერცვალებული მოვა როგორც სტიქია, რომელსაც აქვს მხოლოდ ერთი დაწყება მარადი ტრაგიულის. უბრალო რეალურად მოცემული საგანი გადადის ისევ ფანტასტიურში. პოეტის ოთახი და კიბე ირრაციონალურ ორბიტრშია გადასროლილი. მაჩაბელი დარჩება როგორც მეორე სახე იმავე ფანტასმის თვალის გახელის. შეიძლება ეს იყოს შედეგი ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსის ინსტრუმენტოვკის. ბოლომდე დაყვანილი რიტმი—მუსიკალური პასაჟი, რომელშიც ლღვება ობიექტი ხილვის და რჩება უნაპირო ხვეულები. ყოველ შემთხვევაში პოეტს რჩება მიკროსკოპში გატარებული ხაზები **საგნის მოჩვენების, მისი მობრუნებულ სახის.**

ვალერიან გაფრინდაშვილი მოვიდა, როგორც იუველირი, რომელმაც შემოიტანა სტილი გოტიკის, მაღლა ავარდნილი მოზაიკის. ლია და ძვირფასი ქვების.

საფირონი, ლალი, ალმასი. ზურმუხტი: ამითია მოჭედილი გუმბათი გოტიურ სობოროსი. ვალერიან გაფრინდაშვილი ცნობილია უფრო როგორც პოეტი აბსტრაქციის. ვფიქრობ საჭიროა შესწორება: წმინდა იდეია მოცემული სახით **სხეულია ცკვე თავის თავად კონკრეტული.** სხეული სხვა პრიზმაში გატარებული. აქვს პოეტს მდიდარი სახეების მადანი და სცლის მას დაჯერებულ სიუხვით.

პარალელი ასეთია: პოეზია გაფრინდაშვილის და ქართული ორნამენტი, რომელშიაც მოცემულია ფანტასტიური გრიფები და ლოტოსის ყლორტები. პლასტიკა ლექსის და იმავე ორნამენტის გრაციოზული დაშვება ძირამდე.

ყოველი მათგანი თითქოს სარკეზეა ამოჭრილი ამიტომ გამჭვირვალე და ღრმა ძირით.

ლექსის თაღზე ელავენ მიკრული მინერალური კრისტალები და მის ძირში პლასტებათ დაწყობილი მაგნიტი, რომელიც იზიდავს უფსკრულისაკენ.

**შალვა აფხაიძე.**

# საფრანგეთის პოეტები:

**შარლ ბოდლერი.**

**საღამოს ჰარმონია.**

აგერ დადგა დრო, როცა რხევით საკუთარ ღერზე
ყველა ფოთოლი იორთქლება ვით საკმეველი;
ჰაერში ხმები, ნარდიონი გაურკვეველი;
სევდის ვალსი და მიბნედილი ტრიალი სერზე!

ყველა ფოთოლი იორთქლება ვით საკმეველი,
თრთის ჰიანური როგორც გული სულ მომიზეზე;
სევდის ვალსი და მიბნედილი ტრიალი სერზე;
ცა მოწყენილი და ძვირფასი ვით დიდი ველი.

თრთის ჰიანური, როგორც გული სულ მომიზეზე;
უნაზეს გულსა ეზარება უფსკრული ბნელი;
ცა მოწყენილი და ძვირფასი ვით დიდი ველი
მზე ჩადის სისხლში, და მაგრდება ის სისხლი მზეზე.

უნაზეს გულსა ეზარება უფსკრული ბნელი,
ნათელ წარსულსაც გაიტაცებს ტრიალი სერზე!
მზე ჩადის სისხლში და მაგრდება ის სისხლი მზეზე....
ელავს ბარძიმათ შენზე ფიქრი უკანასკნელი.

**პაოლო იაშვილი.**

**არტურ რემბო.**

**SENSATION**

ლურჯ საღამოთი, ზაფხულობით წავალ ფარულად
სადაც ყანაა და ბალახით ავსილი ველი;
ფეხებთან ვიგრძნობ რომ ბალახი მთლად დაცვარულა
და შევცურდები ქარში ჩვავი და თავშიშველი.

ხმას არ გავიღებ.. არ ვიფიქრებ.. მაგრამ ძლიერი
ვნებით მევსება სიყვარულის უბე და კალთა;
და მივალ, როგორც დამშეული ბოჰემიელი
და ბედნიერი ბუნებასთან: ისე ვით ქალთან.

**პაოლო იაშვილი.**

# მუნჯი ინკვიზიტორი

## მკითხველი და ავტორი.

ლიტერატურის ქვეყანაში არის სახელი, რომელიც იშვიათად იხსენიება კეთილად. მას თითქოს არავინ ამჩნევს, და თუ შენიშნეს, ალმაცერად აუვლიან. ეს მკითხველია. მისი გაპიროვნება არ შეიძლება. იგი მრავალ-სახი არსებაა, და მიტომაც მას არავინ უცქერის. დიდ კრებასთან ლაპარაკი უფრო ადვილია, ვიდრე ერთ ადამიანთან. ბევრი თვალები სივრცეს ერთვიან, და მიტომ ადვილდება სიტყვის თქმა; ერთის თვალები კი სივრცეს ჰკარგავენ, და ადამიანს უხდება პირისპირ უცქიროს ყველაზე დიდ საშინელებას ქვეყანაზე, ე. ი. თვალებს. მკითხველთან ავტორი ყოველთვის თავისუფლად ლაპარაკობს. სულ ერთია, რა ზნისა იქნება იგი: მოკრძალებული ამაყი, თავხედი, დარწმუნებული და სხ... იმიტომ რომ იგი მკითხველს ვერ ხედავს.

მკითხველი ყოველ-დღიური კატეგორია როდია. იგი საუკუნეების მანძილზე არის გაწოლილი, მან როდი იცის სანტიმენტალობა. არც თუ ჩახედვის სინაზე აქვს. იგი გამძლეობის ელექსირს დაეძებს ყველგან, რომ შეისუნთქოს, და ამ ელექსირის მიმწოდებელს დიდ ხანსაც არ იხსომებს. ჰომიროსის შესახებ უკვე ეჭვებია გამოთქმული: იყო თუ არა იყო რა? ვენერას და აპოლონის შემქმნელნი ვერ იპოვნა ელლენოლოგიამ. ბევრი სახელი შეინახა ეგვიპტემ? და შესცდება, ვინც იფიქრებს, რომ ამას იქით უკვდავება სხვა გზით წავა. ეგვიპტელებს ყოველ შემთხვევაში უკვდავების წყურვილს ვერ ვასწავლით, მაგრამ მუნჯმა ინკვიზიტორმა ჩაისუნთქა ყველაფერი, და მისი ამეტყველება შეუძლებელია. ასეა დღესაც. საკითხია დასმული არა უკვდავების, არამედ შედარებითი გამძლეობისა. ინდივიდუალური კვნესა ამით ნელდება მაინც, მაგრამ ავტორი, ამ მინიმუმსაც რომ დაეძებს, მაინც იქ უნდა მივიდეს, ამ ქოტიურ ქვეყანაში, და აჩვენოს გამძლეობის ენერგია. და აქ გასაგებია ისიც, თუ რად სძულთ ავტორებს მკითხველები, და იმავე დროს რად არიან მისდამი ისე თავაზიანნი ან და ანჩხლად კადნიერნი. გასაგებია ისიც, თუ მკითხველთა მასსა რატომ არის ასე მომთმენი და დამუნჯებული. მასსამ იცის, რომ მისი უკვდავების პრობლემა არ არსებობს. ეს მას არც აინტერესებს. ის ჩუმად სუნთქავს, ჩუმად სწარმოებს მისი პსიქოლოგიური კვება. მას შეუძლიან გულ-გრილიც იყვეს. იგი არაფერს ჰკარგავს. მას არც ლანძღვა უდგება, რადგან გალანძღვა ინდივიდუალობისა შეიძლება მხოლოდ. მისი არც გადიდება შეიძლება, რადგან ფორმა არა აქვს. ჭირვეულობს ავტორი. იგი გამოყოფილი მკითხველია. როგორც მკითხველი, ისიც ხშირად ისეთივეა, როგორც ყველა, მაგრამ როგორც ავტორი, იგი გუნება-ამღვრეულია, ბრაზიანი, ქედ-მაღალი. იგი იმ მასისგან არის დამოკიდებული, რადგან თავის დროის მკითხველს იგი ფარულად, თავისში, ისე კი არ უცქერის, როგორც განსაზღვრულ X, რომელიც თავის ნაჭუჭს გამოსჭამს და მოისპობა, არამედ როგორც ისეთ ძალას, რომელიც მის პიროვნებას შეინახავს და აგორებულ ტალღასავით გაიტაცებს საუკუნეთა მდინარესთან შესართავად. ყოველ ავტორში განსაკუთრებით, ფაუსტის გამოძახილ გრგვინავს: „ჩემს მიწიერ დღეთა კვალს არ შეუძლიან მარადისობაში ქაქრობა". და ამ შეუძლებლობის მტირთველი ეს მასსაა, რომელიც მიდის საუკუნეების თანამგზავრად.

* * *

ვცადით მკითხველს უფრო კონკრეტულად წარმოდგენა. ავიღოთ პირველი შეხვედრილი წიგნები სხვა და სხვა სფეროდან. მაგ. ფილოსოფიაში—კანტი. ,,წმინდა აზრის კრიტიკის'' წინასიტყვაობაში, კანტიც კი კრძალვით ლაპარაკობს მკითხველის შესახებ,—,,მე დიდ ხანს ვმუშაობდი ამ შრომაზე, ვიდრე მას ხალხს წარუდგენდი... ზოგი რამ უნდა გამომეკლო, ან მიმემატებინა, რასაც თუმც არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ უსარგებლო არ იქნება ზოგიერთ მკითხველისთვის''... მაგრამ ამ მოკრძალებაში სჩანს დიდი კატასტროფიული ძალა, რომელიც აწვება მკითხველს, და მგლური განაბვით ზარსა სცემს, აპატარავებს. მეცნიერულ შრომის ავტორი, მაგ. ოსტვალდი, ,,ბუნების ფილოსოფიის" წინასიტყვაობას ასე ათავებს: ,,მგონია, საკმაოა რაც ვთქვი, რომ მკითხველმა იცოდეს, თუ რას უნდა ელოდეს, ჩემგან. **გავბედავ** კვლავ და ვიტყვი, რომ ამ წიგნში არც მოცემულია და არც ნაგულისხმევი რაიმე ჰიპოტეზა''... მაგრამ ოსტვალდი ისეთი ენერგიული სიცილით ლაპარაკობს, და ისე დაჯერებული, როგორც ეს შეშვენის ლაბორატორიის ბატონს. ვიქტორ ჰუგო, თავის მიზერაბლის წინასიტყვაობას ასე ათავებს:... ,,ვიდრე იარსებებს უმეცრება და გაჭირვება, ამის მსგავსი წიგნებმა **შეიძლება უსარგებლოდ** არ ჩაიარონ''. არც აქ არის ნაკლები დაჯერება, მოკრძალება, რადგან კატორღის მრისხანება და სიწმინდე იმედიანად ალაპარაკებენ. მაგალითები პირველ შეხვედრილ წიგნებიდან ამოვწერე. მაგრამ აბა გადაიკითხეთ წინასიტყვაობანი ვისი წიგნისაც გნებავთ, მეტაფიზიკიდან —ტოპოლოგიამდე, და დარწმუნდებით, რომ ყველგან მკითხველი გასრესილია, დაპატარავებული, ზოგჯერ იმ თავადური სიმდაბლით, რომელიც კიდევ ერთხელ გაგრძნობინებს შენს ,,ულირსობას'' ზოგჯერ იმ ქამარ-მოხსნილობით, რომელიც არაფრად არ გთვლის და დაგცინის კიდეც. გზის ახვევა არ შეიძლება. მკითხველის ხელშია ის ქოში, რომლითაც მილიონ მის ხელს შეუძლიან მიზიდოს მიწა და ან მთა დაუდგას ავტორს დიდებისთვის, ან დამარხოს. დიახ, ავტორმა იცის ეს, მაგრამ იგი მაინც სულ-სწრაფია. მას ძნელის ატანა არ შეუძლიან. იგი ჭირვეულიც არის. მას უნდა შემოქმედებითი ტკივილების ბრაზი მკითხველზე ამოიყაროს, რადგან უიმისოდ მისი არსებობა წარმოუდგენელია. აქ ერთგვარი შურის-ძიებაც არის, ხოლო სხვა და სხვა ფორმით: ბრძენი—თავმდაბლობით, დილეტანტი—დაშინებით, დიდი პოეტი—ან დიდი მოკრძალებით ან დიდი ამპარტავნობით, პატარები კი დიდებს ჰბაძავენ წინასიტყვაობაშიც კი, და ამის მიხედვით უხვდებიან სრულიად უდანაშაულო მკითხველს. მაგრამ ეს მკითხველი მასსა ერთგვარი სტრიქინია, მდინარეს მსგავსი. ზოგი ნაგავს ჰყრის, ზოგი ინათლება: რადგან მასში არის მუდმივი სიახლეც, ერთგვარობაც; მუდმივი მოწოლვა, მუდმივი ნაცნობობა და უცნობობა. და ყველაფერი ეს ეტევა რაღაც ფანტასტიურ უნაპირო კალაპოტში.

* * *

მკითხველი, რომ კონკრეტიულად წარმოვიდგინოთ, თვით ეს წარმოდგენა ნათელ ჰყოფს იმ სიძნელეს, რომელიც ავტორმა უნდა გადაიტანოს. მკითხველი მკითხველს არ უდრის. მე მეჩვენება რამდენიმე ტიპის მკითხველი:

ა. **დამფრთხალი**, როცა მის ჰკუას თუ გრძნობას მოეჩვენება უჩვეულო და ვერ წაართმევს თავს. აქ წიგნი იმორჩილებს მკითხველს, და ახეტებს გაუგებარ იდეების თუ სახეთა უგზოობაში. ამ დამორჩილებას იგი ვერ იგნებს, და ყველგან ჰყვირის მოწონების სიტყვებს მკითხველთა მასაში ისმის ეს ხმა, რადგან იქ ყველა ხმა ისმის. შედეგი: თუ ყველა არ წაიკითხავს №—წიგნს, ამ რეცენზიას მაინც შეითვისებს, და იქცევა ,,რეტ-დასხმულობის'' ახალ ,,მლაღადებლად''... ბევრ წიგნს ეხმარება მკითხველთა ეს კატეგორია, თუმც მოკლე ვადიანია ამ სუსტ მხრეზე დაყრდნობილი გამარჯვება.

ბ. **დაკვირვებული**. ეს ტიპი უფრო იშვიათია. ის გულ-მოდგინედ კითხულობს ყოველ სტრიქონს. მისი პრაქტიკული მაქსიმაა: წიგნი გამოსადეგია, და მიტომაც მოუბეზრებლად კითხულობს ყოველივეს. იგი გაგონილით არ კმაყოფილდება. მას სურს შეიქმნას თავისი აზრი. მას ყოველთვის ,,კეთილ სინდისიერება'' ახასიათებს, რადგან ის დაკვირვებულია. ყურს ბევრი უგდებს. იგი პატივ-ცემულიც არის, როგორც ურჩქარებელი გამგები ავტორის ხშირად ბნელ და დაბნეულ აზრისა. მისი პედანტიზმი საშინელია, რადგან აქ ყველაფერი კვდება.

გ. **შემფასებელი**. ეს იმით როდი კმაყოფილდება, რითაც **დაკვირვებული** არა იგი მსჯავრსაცა სდებს წიგნსა. მას შეფასების პრინციპი შემოაქვს. იგი წაკითხულ წიგნის რკალში არ ექცევა. მისი მზერა შორს მიდის. იგი სცდილობს რაღაც კავშირის აღმოჩენას. მას უყვარს შედარებებით ლაპარაკი. დიდი ავტორიტეტები მის ბაგეს არ სცილდებიან. ციტატებით იგი შთაგონებას ახდენს. იცის ლაპარაკი, და ხშირად დამაჯერებელიც ახლო-მავალ მსმენელისთვის. იგი მეტ წილად მოტყუებულია, მაგრამ თავის შეუგნებელ უარყოფითი საქმეს მაინც აკეთებს. იგი საშინელია ავტორისთვის არა როგორც ძალოვანი შემფასებელი, არამედ როგორც ძველებური დემაგოგი.

დ. **სკეპტიკოსი**, ეს ყველაზე ,,კეთილ-შობილი'' მკითხველია. რასაკვირველია იგი ძველ პირრონს არ იცნობს, რომ მისი ეჭვებით მაინც დადიოდეს. მაგრამ ეს არც საჭიროდ მიაჩნია. განა მისი ეჭვი საკმაო არ არის ? მათ უეჭველ, რომ მათ შორის გარჩევა არც ისე დიდია. ძველად სკეპტიკოსები ხშირად სასაცილო დილემებამდე მიდიოდნენ, როცა ამბობდნენ მაგ. ასეთ რამეს: ,,ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, იმასაც კი არა, რომ არაფერს ვამტკიცებთ". ჩვენი სკეპტიკოსი მკითხველები კი ამ დილემამდე არ მიდიან. თავს იოკებენ და.. ყველაფერს ეჭვის თვალით უცქერიან, გარდა საკუთარი ეჭვისა. მაგრამ ეს ერთი შეცდომა ეპატიება მას, რადგან იგი ძალიან ცოტას ლაპარაკობს, სკეპტიკოსი საზოგადოდ ცოტას ლაპარაკობს, რადგან სიტყვასაც ეჭვის თვალით უცქერის. მისი შუბლია ყველაფრის მეტყველი: მუდამ ცივი, გარინდული. თუ თვალებსაც ჩაუკვირდებით, დაინახავთ რომ იქ არავითარი ტანჯვა არ არის. იგი პირის-პირ უცქერის კოსმიურ პრობლემებს, და არც ეშინიან, რადგან არ სჯერა. და რა გასაკვირია, რომ ვილაცა უსაქმო ხელით დაწერილს ეჭვი დაუხვედროს. და მიწოდებული წიგნი გააბრუნოს. მისი მთავარი დახასიათება: თითქმის წიგნს არ ჰკითხულობს, და ყველა წაუკითხავ წიგნების შესახებ კი ბრძნულად ჩუმდება, და მიმიკით ამბობს სიტყვით სათქმელს. მასსა ამნაირ ტიპებს დიდად აფასებს. ისინი დიდი ცოდნის ხალხად მიაჩნია, რა ქნას? ესეც წიგნებიდან აქვს ამოკითხული, რომ ვინც ცოტას ლაპარაკობს, იგი ბევრს ჰფიქრობს, სკეპტიკოსის დამსახურება

გაზეთი უკვე აწყობილი იყო, როდესაც რედაქციამ მიიღო დეპეშა, რომ ქუთაისში 25 იანვარს ღამის 1 საათზე ტუბერკულიოზით **გარდაიცვალა** ჩვენი გაზეთისთანამშრომელი, სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის წევრი

# პოეტი შალვა კარმელი

## ქეთევან!

ალარ მაქვს ლონე ლექსის საწერათ —
ბოროტმა მგზავრმა მომიგო შანი.
დაშრა უეცრათ ოცნების ფშანი —
ცივმა აკვანმა გული დასერა.

ედება თვალებს ცრემლი ფაცერათ
რომ ვერ გიშველა ნაკურთხმა შანმა.
პატარა ხელებს წაერთვა ჯანი
და გადაბრუნდა მზე ალმაცერათ.

როცა ამოდის მთვარე უდაბნო
და სასაფლაოს ჰიშკარს კეტავენ—
უფრო მიჭერენ მტანჯველ ალვირებს.

ახ, ეს ქვეყანა იქცა უდაბნოთ
და შენ მაგიერ, შვილო ქეთევან,
ვეთამაშები პატარა ვირებს.

—რაჟდენ გვეტაძე

## წიგნიდან: „კვიმატი დღეები".

**რაჟდენ გვეტაძეს**

საქართველოში ღმერთი არ არის,
ჩვენ არ გვფარავენ ანგელოსები,
და იარაღი თითქოს აგვყარეს
დაბადებულებს გენიოსებათ.

ჩვენ ხშირად ვამბობთ, ნუ ვბეჭდავთ ლექსებს,
წიგნს არ გადაშლის ხელი მთრთოლვარე,
რომ უგულობა წუთს აავსებს,
მოქალაქეებს კვლავ უყვართ მთვარე.

პოეტებს, ლოთებს და
ჩვენ წავუკითხოთ ლექსი სუფრაზე,
სხვა სიყვარული ნუღარ ისუნთქებს
და ნუ ვილცნებობთ უფრო სუფთაზე.

ჩვენ კარგად ვხედავთ, ბროლის ფანჯრებით,
ლეშად იხრწნება მთელი სამყარო,
და გასვენებას გვყვეთ ხანჯლებით,
როგორც გინება მთვრალი მაყარის.

გრიგოლ ცეცხლაძე.

## პარიზის უნივერსიტეტის დაარსება და ორგანიზაცია *)

მე XII საუკუნეში სენის ნაპირებზე სამი შკოლა არსებობდა: ღვთის მშობლის სობოროს კათედრალური შკოლა და ორი სამონასტრო—წმინდა ჟენევიევის და წმინდა ვიქტორის მონასტრებთან. გარდა ამისა—პატარა ხიდის შესასვლელთან—იყო მრავალი თავისუფალი მასწავლებლები, რომლებიც ასწავლიდენ „ხელოვნებათ" კერძო სახლებში და ან ღია ცის ქვეშ. მასწავლებლები მხოლოდ ერთში იყვენ ვალდებულნი: მათ უნდა აეღოთ ღვთისმშობლის სობოროს კაპიტულის კანცლერთან ნებართვები სწავლების შესახებ.

პარიზის უნივერსიტეტი წარმოიშვა არა ხსენებულ შკოლების გაერთიანებით როგორც ამას დიდ ხანს ფიქრობდენ; იგი წარმოიშვა კუნძულ cite-ს დიპლომიან მასწავლებელთა და თავისუფალ მოსწავლეთა ასოციაციიდან.

წარმოშობისთანავე უნივერსიტეტი იწყებს სასტიკ ბრძოლას ღვთის მშობლის სობოროს კანცლერთან. Pares scientiarum-ის 1231 წლის ბულლამ გარკვევით განსაზღვრა ამ წარჩინებულ პიროვნების უფლება ასოციაციაზე, თუმცა უკვე ბულლას გამოცემის წინ კანცლერთან დაქვემდებარებულ პირთა უმრავლესობა უკვე გადაესახლა კუნძულ Citè-დან. მასწავლებლებმა და მოწაფეებმა უკვე ამ საუკუნის დასაწყისში დაიწყეს საერთო ემიგრაცია სენის მარცხენა ნაპირზე წმინდა ჟენევიევის სააბატოს სამფლობელოში გარლანდში, მოვუაზენში და ბრიუნოში. აქ სასწრაფოდ წარმოიშვა: „ლათინური კვარტალი", ფუარის ქუჩა გაყვანილი იქნა 1225 წელში; 1227 წელში კი თვით ღვთის მეტყველები და დეკრეტისტები დასახლდენ ბრიუნოში. თუ პარიზის უნივერსიტეტი ღვთის შობლის სობოროს კოშკების ჩრდილში წარმოიშვა, შემდეგ იგი მაინც მალე განთავისუფლდა იმ კათედრალურ კაპიტულის მონობიდან, რომელმაც ლიუდოვიკ მე IX-ს მეფობის დროიდან შეინახა მასზე მხოლოდ ნომინალური საპატიო უფლება.

უნივერსიტეტის როგორც საერთო ასოციაციის შიგნით, მალე წარმოშვენ მეორე ხარისხოვანი ასოციაციებიც. ერთი ქვეყნის ან ერთი პროვინციის ხალხი, რომელიც დიდ უცხო ქალაქში ცხოვრობს, ბუნებრივად მიისწრაფის გაერთიანებისაკენ; მეორე მხრით გასაგებია, რომ ისინი, რომლებიც ერთ და იმავე მეცნიერებას სწავლობენ, იყოფიან და აარსებენ ცალკე ძმობას. ასეთია წარმოშვება ეროვნების და ფაკულტეტების. სტუდენტებისა და პროფესორების ოთხ ფაკულტეტად (ღვთის მეტყველება, სამკურნალო, იურისპრუდენცია და სიტყვიერება)—დაყოფა შორეულ სიძველეში მოხდა. იგი საბოლოოდ დამტკიცდა 1231 წელში გრიგორი მე IV-ის მიერ. ერთი 1254 წლის უნივერსიტეტის აქტი ოთხ ფაკულტეტის „ოთხ სამოთხის მდინარეს" ადარებს. რაც შეეხება ოთხ ეროვნებას (ინგლისელები, ფრანგები, ნორმანდელები და პიკარდილები), ისინი როგორც სჩანს დაიყვენ სიტყვიერების. მოსწავლეთა სენის მარცხენა ნაპირზე გადასახლებას შემდეგ. 1215 და 1222 წლებს შორის სიტყვიერების ფაკულტეტი გაიყო ოთხ ეროვნებათ, რომლებსაც სათითაოდ საკუთარი ბეჭედი ჰქონდათ, ამ ოთხ თავიან ფედერაციის „პროკურორები" ირჩევდენ სიტყვიერთა საერთო უფროსს. რომელსაც ეწოდებოდა რექტორი, მაშინ როდესაც დეკანის ტიტული ეკუთვნოდა დანარჩენ სამი ფაკულტეტის მთავარ მაგისტრანტს. ის გარემოება, რომ ოთხ ეროვნების სიტყვიერების ფაკლტეტებზე მყოფთა რექტორი, მე XIII საუკუნის დამლევს შეიქნა მთელი უნივერსიტეტის უფროსი, საუკეთესოდ ამოწმებს იმ ფაქტს, რომ პარიზის უნივერსიტეტში უმთავრესი როლი სიტყვიერების ფაკულტეტს ეკუთვნოდა. სიტყვიერების ფაკულტეტზე მყოფნი (არტისტები) შეადგენდენ უმრავლესობას და იყვენ ყველაზე უფრო ახალგაზრდანი და მომქმედი. ასეთი წესით წარმოშობილ უნივერსიტეტის მართველობა მეტად დაუსრულებელი იყო. პირველ ყოვლისა საერთო ასოციაცია, ესე იგი თვით უნივერსიტეტი, მხოლოდ ნომინალურად არსებობდა, მას არ გააჩნდა არც განსაზღვრული ბინადრობა, არც კაპელები და არც „aula" სადაც შესაძლებელი ყოფილიყო მისი წევრების შეკრება. იშვიათად თავმოყრილი საერთო „კონგრეგაციები" მატიურინების მონასტერში აწყობდენ სხდომებს. უნივერსიტეტს არ ყავდა, არც თანამდებობის პირნი, არ ჰქონდა სწორი შემოსავალი და გასავალი. „როცა მას მოუხდებოდა რაიმე პროცესის წაყვანა და საელჩოს გაგზავნა, ხარჯების დასაფარავად აწყობდენ ფულის საერთო შეგროვებას, რომელშიაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა ყველას, ვინც კი უნივერსიტეტის პრივილეგიით სარგებლობდა. შეკრებილ ფულიდან მონარჩენს ყოფდენ მასწავლებლებსა და უნივერსიტეტის მეთვალყურეთა შორის ან და ხარჯავდენ რომელიმე სარდაფში ფულს არ ინახავდენ"

ამას უნდა დაემატოს აგრეთვე, რომ სხვა და სხვა საზოგადოებები ვერ ცხოვრობდენ ყოველთვის თანახმობით და რომ მათ შორის ხშირი იყო შინაგანი უკმაყოფილება. სიტყვიერების ფაკულტეტზე ერებს სძულდათ ერთმანეთი; ხან და ხან კი ერთი ერის წიაღშიაც კი გაბატონებული იყო სასტიკი ბრძოლა სხვა და სხვა პროვინციებს შორის.

ღვთის მეტყველების ფაკულტეტზე მე XII საუკუნეში გამწვავებული იყო მდგომარეობა თეთრებსა და შავებს შორის.

როგორც საერთოდ საშუალო საუკუნის ყოველ უნივერსიტეტში, პარიზის უნივერსიტეტშიაც მძვინვარებდა უთანხმოებანი ან სხვა და სხვა ერებს შორის, და ან მოწაფეთა და მოქალაქეთა შორის: ამ შეტაკებებს მოყვებოდა ლექციების შეწყვეტა და მასიური გადასახლებაც კი, თუ ოდნავადაც დარღვეული იქნებოდა სასამართლოს პრივილეგიები. ასე გაიფანტა პარიზის უნივერსიტეტი 1229 წელში. მე XIII საუკუნის კანცლერების ქადაგებანი ნათელ ფერებით გადმოგვცემენ იმ კოსმოპოლიტურ ახალგაზრდობის უხეშ ჩვეულებებს, რომელითაც სავსე იყო გარლანდის კვარტალი. „სიტყვიერების მსმენელი—ამბობს კანცლერი პრივოტენი—დარბის ღამით ქუჩებში იარაღით, ამტვრევს სახლების კარებს და ავსებს სასამართლოებს ხმაურით".

არის სტუტენტები-ამბობს ერთი მქადაგებელი,—რომლებიც მთელ დროს ღვინის სარდაფებში ატარებენ აშენებენ საოცნებო კოშკებს და კლასს საწოლ ოთახად აქცევენ". ეს სტუდენტები არაფერს არ აკეთებდენ, იმიტომ რომ მდიდრები იყვენ, მაგრამ მათ გვერდით იყვენ ძლიერ ღარიბნიც, რომლებიც, რომ ეშოვათ ლუკმა პური,—იძულებულნი იყვენ შეესრულებიათ ყოველგვარი დამამცირებლი დავალებანი ან და უკიდურეს შემთხვევაში მთხოვრობაც კი დაეწყოთ.

რომ გადაერჩინათ ეს საწყლები ტანჯვისა და მათხოვრობისაგან, ზოგიერთი მაღალსულოვანი პირი აწყობდა საერთო საცხოვრებელს და კოლეჯებს. პარიზის უნივერსიტეტის უძველეს კოლეჯები არიან კოლეჯები: თვრამეტის (1180)., სენტ—ონორესი, წმინდა ნიკოლოზ ლუვრელის, კონსტანტინეპოლის და სორბონის, რომელიც დაარსებულ იქნა ღარიბ ღვთის მეტყველთათვის ლიუდოვიკ მე I კაპელანის—რობერტ სორბონის მიერ.

ბერების ორდენის სავანებიც სადაც სცხოვრობდენ უნივერსიტეტის მოწაფეები, წარმოადგენდენ კოლეჯების დაგვარ დაწესებულებებს, ვინაიდან ეს კალეჯებიც, რომლებშიაც ნამდვილი საეკლესიო დისციპლინა იყო გამეფებული, უმეტესად მონასტრებს წააგავდენ. თვითონ უნივერსიტეტი წარმოადგენდა სასულიერო, კლერიკალურ კორპორაციას მიუხედავათ იმისა, რომ მის კედლებში იყვენ მრავალი სამოქალაქო პირებიც; ყოველ მის წევრს აკრძალული ქონდა ცოლის შერთვა.

*) ამოღებულია ლანგულას წერილიდან: „დასავლეთის ცივილიზაცია".

**პარიზის უნივერსიტეტი არის პირველი უნივერსიტეტი ევროპაში.**

## ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

### პროფესორები და დოცენტები.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დღეს ითვლება 37 პროფესორი და 17 დოცენტი.

**პროფესორები.**

1. ამირეჯიბი სვიმონ.
2. ალადაშვილი ალექსანდრე (სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი).
3. ანფიმოვი ივანე.
4. ანდრონიკაშვილი ლუარსაბი.
5. ახვლედიანი გიორგი
6. ბერიტაშვილი ივანე.
7. ბენაშვილი ანდრია
8. გოგიჩაიშვილი ფილიპე
9. გოგიტიძე სვიმონი
10. დიდებულიძე ალექსანდრე (ფიზიკა-მატემატიკურ ფაკულტეტის დეკანი)
11. თიკანაძე ივანე
12. თვალჭრელიძე ალექსანდრე
13. ვირსალაძე სპირიდონი
14. კეკელიძე კორნელი (პედაგოგიურ ფაკულტეტის დეკანი)
15. კახიანი ნიკოლოზი
16. მაჭავარიანი ალექსანდრე
17. მელიქიშვილი პეტრე (სამეურნეო ფაკულტ. დეკანი)
18. მოსეშვილი იასონი
19. მოსეშვილი ვარლამი
20. მუსხელიშვილი ნიკოლოზი
21. მუხაძე გრიგოლი
22. ნათიშვილი ალექსანდრე
23. ნუცუბიძე შალვა (საზოგადო ეკონომიურ ფაკულტეტის დეკანი)
24. რაზმაძე ანდრია
25. უზნაძე დიმიტრი
26. ქუთათელაძე იოველი
27. პოლიეკტოვი მიხეილი
28. ქურდიანი სოლომონი
29. შანიძე აკაკი
30. ღამბარაშვილი გაბრიელი (პრორექტორი).
31. ღოლობერიძე ბორისი
32. ჩუბინაშვილი გიორგი
33. ცაგარელი ალექსანდრე
34. ჯავახიშვილი ივანე (რექტორი)
35. ჯავახიშვილი ალექსანდრე
36. წერეთელი გრიგოლი
37. ღამბაროვი იური

**დოცენტები:**

1. ასათიანი მიხეილი
2. ამირეჯიბი კონსტანტინე
3. გედევანიშვილი დიმიტრი
4. გეხტმანი გიორგი
5. მელიქსეთ-ბეგი ლეონი
6. ნავაშინი სერგი (აკადემიკოსი)
7. ნათაძე გრიგოლი
8. ნიკოლაძე გიორგი
9. სევეროვი ნიკოლოზი.
10. თულაშვილი ივანე
11. ყიფიანი ნოე
12. ხარაძე არჩილი
13. შალამბერიძე მიხეილი
14. წინამძღვრიშვილი მიხეილი
15. ჯავახიშვილი გიორგი
16. ღულაძე ივანე
17. ქლენტი ვლადიმერი.

## ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტები და სტუდენტთა რიცხვი.

ქართულ უნივერსიტეტში არის შემდეგი ფაკულტეტები:

1. სამკურნალო ფაკულტეტი.
2. საპედაგოგიო ფაკულტეტი, რომელშიაც შედის საბუნებისმეტყველო სამათემატიკო და სიბრძნისმეტყველების განყოფილებანი.
3. აგრონომიული ფაკულტეტი.
4. სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტი, რომელიც შესდგება სოციალური და ეკონომიური დარგისაგან.

სტუდენტთა რაოდენობა ფაკულტეტების მხრივ დანაწილებულია შემდეგ ნაირად:

| | | |
|---|---|---|
| სამკურნალო ფაკულტეტზე | 862 | სტ. |
| აგრონომიუ „ | 885 | „ |
| სოციალ-ეკონომიურ | 767 | „ |
| საპედაგოგიო „ | 861 | „ |
| პოლიტეხნიკუმ „ | 245 | „ |
| ს უ ლ . . . | 3620 | სტ. |

უნივერსიტეტში ირიცხება 29 სტიპენდიანტი უნივერსიტეტი დაასრულა 56 ახალგაზრდამ.

ის არის, რომ განსაზღვრულ წრეში სცემს ავტორისა და წიგნის პრესტიჟს.

ე. **ცინიკოსი.** იგი წიგნს მარტო არა დროს არ კითხულობს. მას „სათრეველად" უნდა იგი. ამისათვის „საზოგადოება" არის საჭირო. ჩას ხალხში უყვარს ყოველივე სტრიქონის წაკითხვა, რომ ყველაფერი გაამასხარაოს, და მასსას ესეც სჭირდება. ხალხს აფხიზლებს წამოწოლილი სიცილი და მოსწრებული სიტყვა. ცინიკოსი ყველა ამას სჩადის პატივ-მოყვარეობით. შემოქმედება მას არ შეუძლიან, გამოჩენა კი უნდა. „მე ვხედავ შენს პატივ-მოყვარეობას არისტოფენ! იგი გამოსჭვივის შენი ნაბდის ნაგლეჯებიდან." ერთი შეხედვით თითქოს არის მსგავსება ძველ ცინიკოსთა და ახალთა შორის. იქ დიოგენი ყოველ ფიზიოლოგიურ აქტს საჯაროდ სჩადიოდა, აქ მკითხველი ცინიკოსიც ხალხში ტრიალებს, და თავის მზაკვრობას ჰხდის ყველასათვის დასანახად. მაგრამ აქაც არის გარჩევა. ძველმა ცინიკოსებმა იცოდნენ განმარტოება და სიღრმე, ამათ კი საამისო ძალა არ შესწევთ. ცინიკოსობასაც უნდა დიდი ენერგია, სიმკაცრე, ჭკუის ფანატიკური თან-მიმყოლობა, ბატონობა საკუთარ თავზე. მაშინ იგი ერთგვარად პატივ-საცემ ძოწით იმოსება. მკითხველ-ცინიკოსს კი ეს არ გააჩნია. მისი დამსახურების გარკვეულად თქმა არ შეიძლება. კიდევ შეიძლებოდა კატეგორიების მოძებნა, მაგრამ კმარა.

აი ამ ელემენტებისაგან სდგება ის გამოუცნობი ქიმიური შემადგენლობა, რომელსაც საზოგადოდ **მკითხველი** ეწოდება. ასეთია ცალკე აღებული მკითხველის ტიპი მაგრამ ეს ყველაფერი ნიღაბია. ნამდვილი პირი ამ ნიღაბს შიგნით არის. იქ სულ სხვა გვარი პროცესები სწარმოებენ. იქ უფორმულო მიღება და უარყოფა ჰხდება. იქ ანგარიშ-მიუცემული მიმოქცევაა აზრისაც, გრძნობისაც, ინტუიციისაც, ეს არც მაინც პიროვნული თვისებაა. აქ მთელი მოდგმა ლაპარაკობს, და მიტომ ხდება, რომ მკითხველის ზეპირი აზრი ყოველთვის კვდება, გამოუთქმელი კი სძლებს საუკუნოებით. ზეპირი თქმა უფრო ინდივიდუალურია, შინაგანი კი—რასიული.

ამ მკითხველის და ავტორის პირისპირებაში იშლება პატარა დრამა რომელიც ადამიანისთვის მეტად მძიმე გადასატანია. დრამის სათავე შემდეგშია: ყველა ავტორს ჰგონია, რომ „რაღაც" ახალს ამბობს. ამბობს კი ძალიან მცირე რიცხვი, და ამ უკანასკნელთ ინახავს მკითხველთა მასსა. მკითხველებსაც ყველას ჰგონია, რომ იმისთვის არსებობს ავტორი, და ბედის გამნაწილებელია. მაგრამ აქ ორივე მხარე სცდება, თუმც ძვირად ჯდება ეს შეცდომა. ვინ იცის იმ ოთახების საიდუმლოება, რომლებშიც ავტორის დრამა კვდესის და ულრემლო ქვითინის და მწუხარება არის კარ-გამოკეტილი. თუ ვერ ამბობს ახალს, წადილი ხომ აქვს საამისო. ხომ უნდა გატოლება გიგანტებთან? ამ ფსიქოლოგიას ღრმად უნდა ჩახედვა, რასაც მკითხველი ვერასოდეს ვერ შესძლებს, ავტორისთვის არსებობს ერთად ერთი მკითხველი, საკუთარი თავი, მაგრამ უბედურიც იმაშია. რომ ეს მკითხველი არ კმარა. ადამიანი ზიარობის მოვლენაა. პატივი დიდება და „უკვდავება"—ამ ზიარობის ფარგლებში ჰხდება. ვინ იტყვის, რომ სადმე, დიდი პოეტი არ გამომწყვდეულა თავის ზურგში, რომელიც არავის არ უზიარებს არაფერს, და ხალხი კი მას უცნაურს, მიუკარებელს, გაუცნაარს და სხ. სახელს ეძახის. ვინ იტყვის, დიახ, ვინ შესძლებს იმის თქმას, რომ უსათუოდ უნდა დაიწეროს ლექსი რომ პოეტი იყვე, უსათუოდ უნდა სილოგიზმების კოშკი დასდგა, რომ ფილოსოფოსი მიუწოდონ, უსათუოდ უნდა წიგნი აიკიდო, რომ ავტორი გახდე. ხომ ყველა ვინც სწერს არ არის პოეტი, ფილოსოფოსი, მეცნიერი..- მაგრამ ადამიანის ფარული ტრაგიზმიც იმაშია, რომ იგი მათემატიკური ნიშანზე დაბლაც კი სდგას. რიცხვი ერთი არასოდეს არ იკარგება. ის მხოლოდ დროში ილებენ ორჯერ, სამჯერ, ასჯერ, მილიონჯერ... ერთი კი, როგორც თავადი რიცხვი, ერთად რჩება. ადამიანი კი როგორც ერთი არ არსებობს იგი სხვებში და სხვებით არის და უნდა იყვეს მუდამ. და ფასიც იმასა აქვს, რაც იქნება საჭირო ბაზრა გამოიტანილი. წიგნი—ფაბრიკის ყუთია. რომელშიც გასაყიდი საქონელია ჩალაგებული,—აზრები. სხვანაირად არც შეიძლება. და როგორც ეკონომიური ბაზარი დუელია მყიდველსა და გამყიდველს შორის, ისევე დუელია გამართული ინტელექტუალურ ბაზარზედაც ავტორსა და მკითხველს შორის. ამ დუელში ბევრია სიკვდილი, გამარჯვება, მაგრამ ყველაზე ბევრია წამება და წვალება. მკითხველს მე ინკვიზიციური უწოდე, მხოლოდ მუნჯი. სიმუნჯე—ყველაზე დიდი სიტყვაა. დოსტოევსკის დიდ ინკვიზიტორის ლეგენდაში" მრისხანე „Dixi"-ს, სცვლის ინკვიზიტორის მუნჯად კარის გაღება, და საცოდავი სიტყვა: წადი. ეს დიდი დამუნჯება გამოიწვია ქრისტეს სიმუნჯემ, როცა დაწვა—მისჯილი მიუახლოვდა ინკვიზიტორს, და უსისხლო, ოთხმოცდაათ წლიან ბაგეს ჩუმად აკოცა. ეს არის დამუნჯების ძალა. სამღვთო წერილს ზაქარიაც დამუნჯდა დიდი ისტორიული დაბადებისათვის. ასევე მუნჯი არის მასსის მიერ დიდი აზრის მიღება. შეიძლება, უსისხლო მკითხველს, ამ მუნჯ ინკვიზიტორს, ბევრჯელ დაეწვას გული ავტორის ტკივილებიან კოცნით, მაგრამ იგი მაინც რჩება თავისი ერთი იდეით: გამძლეობის ძებნით. ვინ იმარჯვებს? კარგ ავტორთან—მკითხველი. ამ პარადოქსს განმარტება უნდა. კარგი ავტორი ის არის, ვინც თვისში მძლედ ატარებს გვარისა თუ რასის „ნატვრის თვალს". ჰომიროსი კარგი ავტორი იმიტომ იყო, რომ მასში ელლინურ მოდგმის გამძლეობის საიდუმლოება იყო მოცემული. ძალისა და უშიშრობის სული, რომელიც მოცემულია ილიადაში, და გამბედაობის და გმირობის კდემა—ნაფარი მაგალითები, რომლითაც სუნთქავს ოდისეია, აი რად შეიყვარა ძველმა საბერძნეთმა მათი ავტორი, ლეგენდარული ბრმა მოხუცი. იტალიას დანტე უყვარს, მიტომ, რომ თავისი მოდგმის ანთებაა იგი ერი შორს გახედვა, სტიქიითა დამმორჩილებელი და ღვთის მეტოქე. ასევეა გეტე—გერმანიისთვის, რომელმაც ხელმეორედ შეჰქმნა გერმანია, და უფრო მტკიცე, ვიდრე მანამდე იყო. ასევეა შოთა ჩვენთვის. აქ ნაკლები მნიშვნელობა აქვს ლიტერატურას, მოსაზრებებს, თეორიათა ბრძოლას. როცა ავტორს ერი ეპატრონება. მაშინ იწყება ირრაციონალური სამყარო, სადაც მისვლა სილლოგიზმებით კომიზმს ჰბადებს, მეჩვენება.

ასე რჩება მკითხველი: კონკრეტულად, როგორც მომენტის სანახაობა, მაგრამ მას განჭვრეტით კი—საუკუნეების მზიდველი სტიქიური მასსა, რომელსაც უნდა მიმართავდეს ყველა სერიოზული ავტორი. თანამედროვე მკითხველში უნდა ვხედავდეთ ამ გამძლე არსების ელემენტს, და მას ავტორი ისე უნდა ელაპარაკოს, როგორც დიდი მოდგმის აპარატს. მუნჯი ინკვიზიტორის უკან იმალება მეტყველი ერი, რასა, რომელიც საზეიმო დროშებს მაღლა სწევს, როცა კარგი ავტორი მის უცნაურ სახეს საცნაურად ჰხდის. ავტორის გზა იქით მიდის.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შალვა კარმელი

დადუმებულ და გაჩერებულ ქუთაისს მიემატა ერთი მშვიდი საფლავი:

გადაიცვალა ძვირფასი შალვა კარმელი. წელაწადია რაც იგი გაშორდა თავის მეგობრებს და პოეტურ ცხოვრებას, წავიდა ქუთაისში, მისთვის რომ მშობლების ღარიბ ქოხში გადაცვლილიყო ტუბერკულიოზით. ახალი მწერლობის კავშირმა დაჰკარგა დაუვიწყარი წევრი, ახალმა პოეზიამ უნაზესი პოეტი, „ცისფერმა ყანწებმა" ხორციელი ძმა, სრ. საქართველოს ახალ მწერლობის საბჭოს დადგენილებით ქუთაისში გაემგზავრება საბჭოს პრეზიდიუმი მთელის შემადგენლობით პოეტის გასვენებაზე რომელიც მოხდება ქუთაისში სამშაბათს 30 იანვარს, და გაზეთ „რუბიკონის" შემდეგი ნომერი შეწირული იქნება შალვა კარმელის ხსოვნისთვის.

# პავლე ინგოროყვას „რუსთაველიანა"

სახელმწიფო გამომცემლობამ დაადგინა გამოსცეს პავლე ინგოროყვას კაპიტალური შრომა—რუსთაველიანა. ახლ ხანში დაიწყება მისი ბეჭდვა. ინგოროყვას შრომა შეიცავს შემდეგ ნაწილებს.

I. ვეფხის-ტყაოსნის შესავალი და დასასრული. აღდგენილი დედანი.

II. ვეფხის ტყაოსნის თარიღი (გამოკვლევა). ამ გამოკვლევას დართული აქვს სპეციალური ეტიუდი: რუსთაველის გეოგრაფია

III. შოთა რუსთაველის ვინაობა (გამოკვლევა). ამ მესამე გამოკვლევას დართული აქვს ოთხი სპეციალური ექსკურსი: 1. რუსთაველი—მანის ფერი; 2. რუსთაველის იკონოგრაფიის საკითხი; 3. რელიგიური მსოფლიო პოემაში; 4. პოემის ენა (ჰერეთის კილოს გავლენა)".

მთელი ეს შრომა დაბეჭდილი შეიცავს 400 გვერდამდე. პავლე ინგოროყვას რუსთაველიანა ეპოქალურ სამეცნიერო მოვლენას წარმოადგენს და მისი გამოცემით სახელმწიფო გამომცემლობა დიდ სამსახურს უწევს ქართულ ლიტერატურას.

# ქრონიკა

## ევროპა

### მარსელინა დებორ ვალმორ.

„Revue Mondiale"-ში დაიბეჭდა მთელი რიგი წერილების, რომელიც მოუწერიათ ცნობილ პოეტესსა მარსელინა დებორ ვალმორისთვის ვიქტორ ჰიუგოს, ბალზაკს, ბოდლერს, ალექსანდრ დიუმას, ბერანჟეს, ოგიუსტ ბარბიეს, ბრიზეს. წერილები წარმოადგენენ დიდი ისტორიულ მნიშვნელობის მასალებს.

### წიგნი ბოდლერზე.

გამოვიდა წიგნი ბერნის უნივერსიტეტის პროფესორის გონზაგო დე რეინოლდის შარლ ბოდლერზე. წიგნი შეიცავს კურსს ლექციებისას, რომელიც უკითხავს ავტორს ბერნის უნივერსიტეტში 1917 და 1918 წლიდან. წიგნში მოცემულია აღფრთოვნებული დაფასება პოეტის და შეიცავს განსაკუთრებით ბოდლერის კათოლიკურ მოტივების ანალიზს.

### ბოდლერის ხელნაწერები

ანრი ლეკლერკის ბიბლიოტეკაში და არქივში აღმოჩდა ბევრი დოკუმენტები ბოდლერის. მათ შორის წერილი ბოდლერის ბრიუსელიდან გამომცემელ მიშელ ლევისთან. წერილი ეხება ედგარ პოს თარგმანს, და ზედმეტათ ანიშნავს იმ გაჭირვების და სიღარიბის ატმოსფერას, რომელსაც გრძნობდა პოეტი იქვე აღმოჩნდა აგრეთვე სია იმ პირთა, რომელთაც ბოდლერს „უთუოდ უნდა გაეგზავნა" თავისი წიგნი „ბოროტების ყვავილები" პირველია სიაში ტეოფილ გოტიე ასეთი შენიშვნით „საუკეთესო ექზემპლიარი" შემდეგ მიდიან: სენ ბევი, ბარბიე დ'ორევილი, ვიქტორ ჰიუგო, ლეკონტ დე ლილი, კვინსი, ლონგფელო და სხვები. ამ არქივში აღმოჩნდა კიდევ 5 წერილი ქ-ნ აპოლინი საბატიესთან, ცნობილ „პრეზიდენტის ქალზე", რომელიც იყო მეგობარი გოტიეს და ფლობერის და რომელიც ცხოვრობდა 1842 წელს ცნობილ „Hotel Pimodan"-ში სადაც გოტიეს გადმოცემით იმართებოდენ დეკამერონები პოეტების არტისტების, და ულამაზესი ქალების.

### შატობრიანი.

პერიბონმა გამოუშვა ძვირფასად გამოცემული წიგნი შატობრიანის ნახევრად დავიწყებული წიგნის „Vie de Rance"

### ბალზაკი და ნოდიე

აღმოჩნდა წერილი ბალზაკის შარლ ნოდიესთან, რომელიც ეხება ბალზაკის კანდიდატურას აკადემიაში. ბალზაკი წერილში გამოთქვამს, რომ მას არ უნდა აკადემიის წევრად გახდომა.

### ბელგიის აკადემია.

საბოლოოდ დამტკიცდა დაარსება ბელგიის აკადემიისა, თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულია პოეტი ივან ჟილკენი. ჟილკენმა თავმჯდომარეობაზე განაცხადა უარი და ამის შემდეგ არჩეულ იქნა ალბერ ჟირო, ვიცე პრეზიდენტათ არჩეულია მორისს ვილლოტი, მდივნათ გუსტავ ვან ზიუნი.

### ვაგნერის ბიოგრაფიისთვის.

„Revue Musical"-ში დაბეჭდილია წერილი ადოლფ ჟულიერის რომელიც შეიცავს ახალ მასალებს რიჰარდ ვაგნერის სიკვდილზე, ამ ცნობებით ვაგნერის სიკვდილი გამოიწვია იმ მძიმე ატმოსფერამ რომელიც შეიქმნა კომპოზიტორის გატაცებით ერთი ახალგაზრდა მომღერალ ქალით.

### დიუჟარდენი.

„Mercure de trance"-ში დაბეჭდილია წერილი ედუარდ დიუჟარდენის vers libre-ის გენეზისის შესახებ. წერილი შეიცავს სრულიად ახალ პრინციპებს. დიუჟრადენი ანალიზმა მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ კანონიზაცია თავისუფალ ლექსს უქნა გუსტავ კანმა, მხოლოდ პირველად ის იხმარა არტურ რემბომ თავის ლექსში „Marine" რომელიც დაბეჭდილია 1886 წელს.

### ვერლენის წერილები.

ვერლენის მეგობრები და პატივის მცემლები შეუდგენ მისი წერილების გამოცემას. წიგნში მოთავსებული იქნება ყველა წერილები, რომელიც მიუწერია ვერლენს ლეპელეტიესთვის, როპსისთვის, გუსტავ კანისთვის და ევგენია კრანცისთვის რიცხვით 240. ამას გარდა წიგნს დაერთოება სხვა მასალებიც და მათ შორის პირველი რედაქცია „L'art Poetigue" რომელიც აღმოჩდა ლეონ ვალდის ქაღალდებში. მასალების კრებული გამოვა ორ ტომათ.

### დანტეს იუბილე

დანტეს იუბილეს გამო, რომელიც შარშან სეკტემბერში შესრულდა ყველა ქვეყნებში დაარსებულ იქნენ კომიტეტები დღესასწაულის ასანიშნავად. ბელგიაში კომიტეტის თავჯდომარედ არჩეულ იქნა კარდინალი მერსიე. საფრანგეთში ნახევარ წელიწადს გამოდიოდა ყოველ თვიური ჟურნალი, რომელშიც იბეჭდებოდა მხოლოდ დანტეს შესახებ მასალები. იტალიაში შეუდგენ დანტეს ნაციონალურ გამოცემას კანონისტურ ტექსტით და კომენტარიებით.

### როსტანის უკანასკნელი პოემა.

პარიზში გამოვიდა ედმონდ როსტანის უკანასკნელი დაუთავებელი პოემა „უკანასკნელი ღამე დონ-ჟუანის" პიესა იწყება იმ მომენტიდან სადაც ათავებს ტიროსოდე მოლინა, მოლიერი და აბატი დე პონტე. ქანდაკება კომანდორის ხელში დაჭერილი ჩაიყვანს დონჟუას ჯოჯოხეთში. კიბეებით. ჯოჯოხეთში ის მიიღებს ათი წლის უკან დაბრუნების უფლებას, რომ მიწაზე გააგრძელოს დიაბოლის საქმე. პიესა არ არის გათავებული, მაგრამ საკმაოდ მოსჩანს, თუ როგორ ასცილდა როსტანი დონჟუანის სუჟეტის ტრადიციულ გაგებას.

### ნაპოლეონის 100 წლის თავი.

ნაპოლეონის სიკვდილის 100 წლის თავზე გამოვიდა დიდი გამოკვლევა ლაკურ გაეს. „ნაპოლეონი, ცხოვრება, საქმე (ეპოქა" პრესაში გამოაქვეყნდა უცნობი დოკუმენტები ნაპოლეონის ეპოქიდან.,

### ვილჰელმ ოსტვალდი.

გერმანიაში დიდ ყურადღებას იწვევს წერილი ცნობილი ქიმიკოსის ვილჰელმ ოსტვალდის „ქაღალდის მეცნიერება". ამ სახელს ავტორი არქმევს „ეგოცენტრიულ" მეცნიერებას, რომელიც არსებობს მხოლოდ თავის თავისთვის, მეცნიერება რომელიც ვერასდროს ვერ გაუძლებს მომავალს, რადგან მოკლებულია წინასწარმეტყველურ ელემენტს-და ამიტომ არის მხოლოდ სქოლასტიკა და მეცნიერება „ქაღალდის". სამწუხაროდ ამბობს ავტორი უმრავლესობა რაც დღეს დღეობით იქმნება ეკუთნის სწორედ ამ „ქაღალდის შემოქმედებას".

### ინსტიტუტი კულტურის მორფოლოგიის.

მიუნხენში დაარსდა ინსტიტუტი კულტურის მორფოლოგიის შესასწავლად. ინსტიტუტის საგანია შეისწავლოს და დააყენოს პრობლემები მსოფლიო ისტორიისა პრეისტორიულ მასალების ნიადაგზე, და აგრეთვე მეცნიერულად მოიცვას კაცობრიობის კულტურა როგორც ერთი ორგანიული მთლიანი.

ერთ ერთი თანამშრომელი ინსტიტუტის არის ოსვალდ შპენგლერი.

# აღმოსავლეთი. ხელოვნება და მეცნიერება

### მსოფლიო ლიტერატურის თარგმნა ძველ—ებრაულ ენაზე.

„რუბიკონის" წარსულ ნომერში აღძრული იყო კითხვა მსოფლიო ლიტერატურის ნაწარმოებთა თარგმნის აუცილებლობის შესახებ ქართულს ენაზე. არ არის ინტერესს მოკლებული გავაცნოთ მკითხველებს, თუ რა კოლოსსალური საქმე გააკეთეს ამ მხრივ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ებრაელების ლიტერატურულმა ძალებმა თავიანთი სამშობლო მწერლობისთვის ძველ-ებრაულ ენაზე.

ძველი ებრაული ენა, როგორც ცნობილია, მკვდარი ენაა და განათლებული ებრაელობა ამ ჟამად სცდილობს მის ხელახალ აღორძინებას. მაგრამ ძველი ებრაული ენა, რასაკვირველია ვერასოდეს ვერ იქნება თანამედროვე კულტურული ენების სიმაღლეზე და ვერ გასწევს მათს მაგიერობას, ვიდრე ამ ენაზე არ არსებობენ მსოფლიო ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებნი. ამ ნაკლის შესავსებად ჯერ კიდევ 1917 წელს დაარსდა ლიტერატურული ამხანაგობა და გამომცემლობა, რომელმაც დაისახა მიზნად თარგმნა ძველ-ებრაულ ენაზე ყველა მსოფლიო კლასიკოსებისა. ეს დიდი ლიტერატურული დაწყებულება ჯერ მოეწყო მოსკოვში, ხოლო შემდეგ გადავიდა საზღვარ-გარეთ. აქ მან ფართე მასშტაბით გაშალა თავისი მოქმედება. იგი სცემს ერთდროულად თარგმანებს ნიუ-იორკში, პალესტინაში და ვარშავაში.

1918—1921 წლების განმავლობაში მან გამოსცა ძველ ებრაულ ენაზე თერთმეტი დიდი ლიტერატურული კრებული (ჰატკუფაჰ)—და ამას გარდა მთელი ციკლი ცალკე თარგმანებისა,—მათ შორის: ილიადა—ჰომიროსის, ანაკრეონტი, ფაუსტი გიოტესი, (პუშკინი, ცალკე ტომები ტოლსტოის, დოსტოევსკის, (მათ შორის ძმანი კარამაზოვნი), ლერმონტოვი, ჰამსუნი, იბსენი, ფლობერი, რომენ როლლან, ჰაინრის ჰაინე, ტურგენევი, მეტერლინკი, ზოლა, უაილდ, მიცკევიჩი, სენკევიჩი, შნიცლერი, კელერმანი დამრავალი სხ.

იმ ნაწარმოებთა შორის, რომელნიც ეხლა იბეჭდებიან, და მზადდებიან დასაბეჭდათ, ჩვენ ვხვდებით—ანტიურ პოეტებს ვიდრე პინდარამდე, მთელს ევროპიულ ლიტერატურას, აგრეთვე ცალკე ნაწარმოებთ აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურებიდან, და რუსეთის ყველა კლასიკოსებს.

ამ დიდს ლიტერატურულ დაწყებულებაში მონაწილეობას იღებენ ყველა ებრაული ლიტერატურული ძალები, თითქმის გამოუკლებლივ. წიგნები იცემა გარეგნულის მხრითაც მდიდრულად და მშვენივრად.

### იაპონური ხელოვნება პარიზში.

პარიზში, ხელოვნებათა ნაციონალურ საზოგადოების" სალონის გამოფენაზე წარსულ წელს იყო განყოფილება ძველი და თანამედროვე იაპონური ხელოვნებისა, მოწყობილი ტოკიოს პროფესორის კიუშეს მიერ. უკანასკნელ დროს იაპონელები დიდად დაინტერესებულნი არიან ევროპიული ხელოვნებით, და ტოკიოს მუზეუმისათვის შეიძინეს მრავალი სურათები, და ეს არა მარტო საზოგადოდ ცნობილი მხატვრების, არამედ ახალი სკოლებისაც, მათ შორის „კუბისტების". იაპონური თანამედროვე ხელოვნება ერთის მხრით სასტიკად იცავს შორეულ აღმოსავლეთის სულს და იაპონიის ხელოვნების ტრადიციებს, მაგრამ მეორეს მხრით იცის აგრეთვე ნიმუშებიც თანამედროვე ევროპის გავლენის. კერძოდ ზემოდ-ნახსენებ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სხვა და სხვა მიმართულებანი. ერთის მხრით აქ იყო სურათები, რომელნიც გვაგონებენ ძველ იაპონურ ნახატებს თავისი ცხოველი ფერადებით, აქ გვხდება იგივე დეკორატიული ფრინველები, ხეები, ყვავილები, ლანდშაფტები აზვირთებული ღრუბლებით, წყნარი ტბებით, და შლოებიანი ნაძვებით. მეორეს მხრით წარმოდგენილი იყო ავტორები ევროპიული სკოლებისა.

ისინი უმთავრესად იმპრესიონიზმის გავლენის ქვეშ იმყოფებიან, თუმცა არ სწყვეტენ კავშირს ტრადიციასთან—და ძველ იაპონურ ნაწარმოებთა მსგავსად სწერენ—აბრეშუმის ქაღალდზე აკვარელით და ტუშით. არიან აგრეთვე მხატვრები, რომელნიც საბოლოოდ განთავისუფლებულან—ძველი იაპონური ხელოვნების ტრადიციებიდან; მათი მანერა უახლოვდება—იმავე იმპერსიონისტებს—მანეს, მონე გოგენს, და სხ.

### პოეტური შეჯიბრება იაპონიაში.

იაპონიაში ყოველ წლიურად იმართება მეტად საინტერესო პოეტური შეჯიბრება. წლის ბოლოს თვით მიკადო ირჩევს პოეტურ თემას კონკურსისათვის, რომელშიაც შეუძლიან მონაწილეობა მიიღოს მთელმა იაპონიის ხალხმა, განურჩევლად წოდების, მდგომარეობის, სქესის და წლოვანების.

„ამომავალი მზე ანათებს ტალღებს"—ასეთი იყო თემა—ლეიტმოტივი 1922 წლის პოეტური კონკურსისათვის.

თანახმად არსებული ტრადიციისა, ყველა კონკურსისათვის დანიშნული ლექსები 15 დეკემბრისათვის წარდგენილ იქმნა ტოკიოს კარის განყოფილებისათვის—„პოეზია". კონკურსში ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო საკუთრივ იაპონიიდან, არამედ კორეიდან, ფორმოზიდან, მანჯურიიდან, ამერიკიდან, და სხ.

1922 წელს წარმოდგენილი იყო 26.000 ლექსზე მეტი, წინასწარი განხილვის შემდეგ სპეციალური ჟიურის მიერ, საზოგადო რიცხვიდან ამორჩეულ იქმნა მხოლოდ 280 ლექსი, და გადაეცა განსაკუთრებულ კომისიას, ამირბარის მაკინოს თავმჯდომარეობით. იანვარში ტრადიციულ „პოეზიის დღესასწაულზე", მიკადოს სასახლეში მოხდა საჯარო კითხვა ლექსების.

კონკურსში მონაწილეობას იღებდა სხვათა შორის დედოფალი და მემკვიდრე. დღესასწაულზე მოწვეულნი იყვნენ უცხოელებიც, მათ შორის ევროპიელები და ამერიკელები.

ეს პირველი შემთხვევაა, როცა ევროპიელები ესწრებიან იაპონიის პოეზიის დღესასწაულს.

### ინდოეთის აჯანტის ფრესკები.

განთქმული ფრესკები აჯანტისა ინდოეთში—ხელ-ახლა იპყრობს სპეციალისტების ყურადღებას· ცნობილი მეცნიერი, დიდი მცოდნე ინდოური ხელოვნებისა პროფესორი ა. ფუშე ამზადებს მონოგრაფიას ამ ფრესკებზე.

### არაბული სამეცნიერო აკადემია.

დამასკში დაარსდა არაბული სამეცნიერო აკადემია, რომელიც უკვე შეუდგა თავის შრომათა გამოქვეყნებას. მას აქვს არა მარტო ადგილობრივი ხასიათი, არამედ აერთებს ყველა არაბული ქვეყნების სამეცნიერო ძალებს.

საზოგადოთ უნდა აღინიშნოს, რომ არაბული ლიტერატურა და მეცნიერება მეოცე საუკუნეში რენესსანსის გზას ადგას. ცენტრი არაბული ლიტერატურისა და მეცნიერების არის ეგვიპტე და სირია; მაგრამ ლიტერატურული აღორძინება თანდათან იწყება დანარჩენ არაბულ ქვეყნებშიაც (საკუთრივ არაბეთში და აგრეთვე მაღრიბის არაბისტანში: ალჟირში და ტუნისში).

### აღმოსავლეთის უნივერსიტეტი.

ანგორაში არსდება აღმოსავლეთის უნივერსიტეტი, აღმოსავლეთის მუსულმანების წარმომადგენელთა დახმარებით.

### მეცნიერება ავღანისტანში.

ავღანისტანში იწვევენ პროფესორთა პერსონალს ეგვიპტის ქაიროს ცნობილ აზჰარის უნივერსიტეტიდან. კულტურული აღორძინების დასაწყისი ემჩნევა ისეთს ჩამორჩენილ აღმოსავლეთის ქვეყანასაც, როგორიც არის ავღანისტანი.

# ხელოვნების სასახლეში

### მ. ჯანაშვილის მოხსენება

კვირას 21 იანვარს ხელოვნების სასახლეში საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებაზე მცხოვანმა ისტორიკოსმა მოსე ჯანაშვილმა წაიკითხა მოხსენება შოთა რუსთაველზე.

მოხსენებაში ყურადღების იქცევა ინგილური სიტყვების შეფარდება ვეფხის-ტყაოსნის შეფარდება ვეფხის-ტყაოსნის დიალექტიზმებთან. მოხსენებაში იყო ბევრი საეჭვო დაპირისპირება, მაგრამ ზოგი ინგილოური ტერმინის შეხვედრა ვეფხის-ტყაოსნის ენასთან მეტად საგულისხმო მოვლენას წარმოადგენს. პოეტის ვინაობის შესახებს მომხსენებელი იზიარებს პავლე ინგოროყვას აზრს გამოთქმულს მის „რუსთაველიანაში." თითონ მცხოვან ისტორიკოსის სიტყვით ინგოროყვას რუსთაველიანა წარმოადგენს გენიალ მიღწევას.

მოხსენებას ხალხი მრავლად დაესწრო.

### ელისაბედ ორბელიანის მოხსენება

ოთხშაბათს იანვრის 24 ხელოვნების სასახლეში ელისაბედ ორბელიანმა წაიკითხა შოთა რუსთაველზე ფრანგულ ენაზე. მოხსენების შემდეგ ავტორმა წაიკითხა თავის თარგმანები „ვეფხის ტყაოსნის" პირველ თავების. მოხსენებამ და თარგმანებმა დამსწრე საზოგადოებაში გამოიწვია კმაყოფილება. ელისაბედ ორბელიანი ცნობილია საქართველოში, როგორც საუკეთესო მცოდნე ფრანგული ენის და ლექსის. ე. ორბელიანმა ამ ათიოდე წლის წინად ფრანგულად სთარგმნა ლერმონტოვის „დემონი", რომლის პარიზის გამოცემასაც წინ უძღვის აკადემიკოს ფრანსუა კოპეს წინასიტყვაობა. სასურველია ელისაბედ ორბელიანმა დაასრულოს ეს თარგმანი და ქართველმა საზოგადოებამ შესძლოს მისი გამოცემა, რადგან დიდ დანაკლისს შეადგენს, რომ რუსთაველი თითქმის ყველა მთავარ ევროპის ენაზეა თარგმნილი ლექსათ გარდა ფრანგულისა, ავტორი შემდეგში წაიკითხავს დანარჩენი თავების თარგმანებს.

სარედაქციო კოლეგია.


## ახალ მწერლობის კავშირში.

**კვირას, 28 იანვარს, ხელოვნების სასახლეში (სერგ. ქ. № 13) გაიმართება სრ. საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის მორიგი**

საჯარო სხდომა

## გრიგოლ რობაქიძე

წაიკითხავს მოხსენებას:

## „ვასილი როზანოვ"

**დასაწყისი 7 საათზე.** შესასვლელი ფასი **30.000 მან.**

**ანონსი** შემდეგ მოხსენებას წაიკითხავს ვახტანგ კოტეტიშვილი: „სანდრო ყაზბეგი".

## მეოცნებე ნიამორები

№ 9

**გრიგოლ რობაქიძე**—წმინდა ნინო: (ხორალი მეორე)
**პაოლო იაშვილი**—პავლე ინგოროყვას
**ტიციან ტაბიძე**—ნინა მაყაშვილს
**შალვა აფხაიძე**—ღამის პეიზაჟი
**რაჟდენ გვეტაძე**—ელამი სარკე
**ვალერიან გაფრინდაშვილი**—ყელსახვევის პოეტიკა
**ტიციან ტაბიძე**—ირონია და ცინიზმი
**სანდრო ცირეკიძე**—პოეტი და მკითხველი
**ვალერიან გაფრინდაშვილი**—ლორიკის ელიზიუმი

**ლადო გუდიაშვილი**—ჟურნალის ვინიეტკა

რედაქტორი: **ვალერიან გაფრინდაშვილი.**

იყიდება ყველა მაღაზიებში. ფასი 25 ათასი

**რედაქციის მისამართი:** ხელოვნების სასახლე, (სერგიევის ქუჩა, № 13) ტელეფონი № 17—51.

## პირველ თებერვლიდან მიიღება ხელის მოწერა

## ტიციან ტაბიძის წიგნებზე

## წიგნები გამოვა 6 ტომათ

I. „ქალდეას ბალაგანი" წიგნი ლექსების:
1. ქალდეას ქალაქები. 2. ეფემერი მასკარადი
3. ორპირის სეზონი. 4. ცხენი ანგელოსით.

II. გრიგოლ რობაქიძე.
აპოლოგია

III. „ცისფერი ყანწები"
იდეოლოგია და პორტრეტები

IV. დაისრული სებასტიანე.
კრიტიკული პროზა.
1. „ქართული იდეა" 2 „პეტერბურგი" ანდრეი ბელლის.
3. „ივანე მაჩაბელი" 4 „ნიკო ფიროსმანი".
5. „ირონია და ცინიზმი", პრობლემა მემარცხენეობის პოეზიაში,
6. დაისრული სებასტიანე: (საქართველო და პოეზია).
7. „ლირიკის წისქვილი" 8 „პოეტი და გარეგნობა",
9. ასტრალი ძაღლი. 10. საქართველოს ირრედენტა.
11. მედეას პრობლემა. 12. სიმფონია ვაჟა ფშაველასი 13 თავადი ლოტრეამონ. და სხვა დაბეჭდილი და დაუბეჭდავი წერილები.

V. ჟიულ ლაფორგ.
წინასიტყვაობა, და თარგმანი „ფეერიული სობორო"

VI. ეპოპეა: ტიციან ტაბიძე.
ორპირის ოქროპირი.

პირველი სამი ტომი გამოვა 15 აპრილს, დანარჩენი სამი ტომი 15 ოქტომბერს. ხელის მომწერთათვის წიგნი ეღირება **ათი მანეთი ოქროთი** ან ხუთი **მილიონი** ქართული ბონებით. ხელის მოწერა მიიღება ხელოვანთა სასახლეში (სერგიევის ქუჩა № 13) სასახლის კომენდანტთან. ხელის მომწერთ შეუძლიათ **პირველად გადაიხადონ** ნახევარი, მეორე ნახევარი 15 აპრილიდან. ხელის მომწერნი **მიიღებენ განსაკუთრებულ** ბარათს. წიგნები დარიგდება მხოლოდ ხელოვანთა სასახლეში გამომცემლობას აგენტები პროვინციაში არა ჰყავს.